

„მოგზაური“ წელი-  
წადში ღირს 5 მან.  
ნახევარ წლით 3 მ.  
ცალკე ნომერი 10 მ.  
ადრესი: თფილისი,  
ნიკოლოზ ქ. № 44.

# მოგზაური

რედაქცია ღია ყო-  
ველ დღე: დღის  
10 სათ. შუადღის  
1 სათამდე, და სა-  
ღამოს: 6 სათ. 7 სა-  
ათამდე.

სოციალ-დემოკრატიული მუხრანლი

№ 21.

კვირა, 5 ივნისი 1905 წლისა.

№ 21.

**„მოგზაურის“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ: ვი-  
საც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, მომავალი ნო-  
მრიდან გაზეთის გზავნა შეუწყდება.**

**შინაბრძოლა:** საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, ფ. მახარაძე-  
სა.—მოთხოვნის განკარგულება.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა-სოფლის  
ამბები.—შინაური მიმოხილვა.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონი-  
კა.—ძველი ზელნაფერი პამპულების შესახებ, ანტიპამპულასი.—საფრან-  
გეთის ისტორიიდან, ანისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარე-  
ობა, კლარა ტეტკინასი (გაგრძელება).—წერილები რედაქციის მიმართ.

## საზოგადოებრივ ძალთა გაწყობილება.

დღევანდელი ხანა, სხვათა შორის, იმ მხრივც არის  
საყურადღებო და ციღმნიშვნელოვანი, რომ ის, რაც წინეთ  
მხოლოდ ნასახათ იყო ჩვენში, დღეს ხორცს ისხამს და ვარ-  
კევით ყალიბდება, გარკვეულ ფორმასღებულობს. ცოტა  
ხანი კიდევ და ჩვენში აშკარათ გამოვლენ სამოქმედოთ სხვა  
და სხვა პოლიტიკური პარტიები, მაგრამ ჯერ კიდევ დამთა-  
ვრებული არ არის ეს მუშაობა, პარტიების შექმნის პროცე-  
სსი, პოლიტიკურ პარტიების შექმნა დამყარებულია არსებულ  
საზოგადოებრივ განხეთქილებებზე, კლასობრივ წინააღმდეგო-  
ბაზე, ანუ კლასთა ბრძოლაზე. კლასობრივი წინააღმდეგობა  
უფრო აშკარაა იქ, სადაც პოლიტიკურ პარტიების ზრდა  
დამთავრებულია; ჩვენში კი, სადაც ეს ჯერ აი მომხდარა,  
სადაც უკმაყოფილების ნაპერწკალი არსებულას წესწობილე-  
ბის წინააღმდეგ თითქმის ყველა საზოგადოებრივ ჯგუფებში  
იჩენს თავს, კლასობრივი ბრძოლა დაჩრდილოვლია, ამის უმთა-  
ვრესი მიზეზი ის არის, რომ ბურჟუაზიული პარტიები და იმათი  
იდეოლოგები ასეთ დროს დემოკრატიული ხასიათის მოთხო-  
ვნებს აყენებენ პირველს ადგილზე და კლასობრივ წინააღ-  
მდეგობას ან სულ გვერდს უვლიან ან იმდენათ ცნობილობენ,  
რამდენათაც ეს იმათთვის სასარგებლოა. იყო დრო, როცა  
მხოლოდ პროლეტარიატის მოწინავე რაზმი აცხადებდა უკმა-  
ყოფილებას და იბრძოდა თავის მდგომარეობის გასაუმჯობე-  
სებლათ, უკეთესი წესწყობილების დასამყარებლათ; თავის-  
უფლების მოსაპოვებლათ, როცა დანარჩენი საზოგადოებრივი  
ჯგუფები, კლასები, ან სრულებით გულგრილათ ან მტრული  
თვლით შეჰყურებდნ მუშათა მოძრაობას. იმ დროსაც ადვილი  
გამოსაცნობი იყო, თუ ვინ იყო მუშა ხალხის ნამდვილი  
მტერი ან მოყვარე, დღეს კი თავისუფლების დროშის ქვეშ  
თავს იყრიან სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, მტერი  
თუ ნაკლები დემოკრატიული პროგრამით შეერთებული. აქ  
ადვილი გასარჩევი როდია, თუ დემოკრატიულ ქერქში  
ნამდვილათ რა არის გახვეული. კიდევ უფრო ძნელდება  
საქმე, როცა ასე ნაძალადევით შეხანხლილ „დემოკრატიზმს“  
ნაციონალიზმი ედება სარჩულათ. და აი სწორეთ ეს ხდება  
დღეს ჩვენში.

ყველა უწყის, რომ რუსეთის სახელმწიფოში სხვა და-  
მორჩილებულ და შემოერთებულ ერებში ქართველი ერიც  
ჟრევი. ადვილი წარმოსადგენია, რომ მარტო ეს გარემოება  
ყველა ცრუ პაურობის და ხალხის მყუდროების საკმარისს  
საბაზს აძლევს ეროვნულ დაზარალებულ და შევიწროებაზე  
ილაპარაკოს და წეროს. წმ ნიადაგზე მეტათ ადვილია ქვეყნის  
კეთილდღეობისათვის მზრუნველობის სახელი მოიხვეჭონ. ხოლო  
ის სულ სხვა საქმეა, თუ რა ფასი ექნება, ან რა ღირსების  
იქნება ასეთი სახელი. ადვილათ შესაძლებელია, რომ ის, ვინც  
ხალხს ყვლეფდა, იმავე ხალხის კეთილისმყოფელათ გამ ავიდეს  
საზოგადოების თვალში; იმან კი, ვინც დედა ენას დევნიდა,  
ამავე ენის მოსარჩლეთ გამოიყენოს თავი. საკმარისია თქვა,  
რომ სამშობლო ენას დევნიან, სკოლებიდან აძევებენ; საკმა-  
რისია აღნიშნათ, რომ ჩვენებურ ხალხს არ ლებულობენ სამ-  
სახურში, და თუ ლებულობენ მცირე ადგილებს აძლევენ,  
რომ გულუბრყვილო ხალხმა თქვენ მის კეთილისმყოფელათ  
მივიღოს. მაგრამ თუ თქვენ ამავე დროს თქვენი დედა-ენის  
ჯალთი ხართ, ან თუ თქვენვე, ანგარიშის გამო, ე. ი. პი-  
რადი სარგებლობის გამო თქვენეფთ ერის ხალხს არ აძლევთ  
სამუშაოს, და მის მაგიერ ვარჯშე ერის ხალხს იწვევთ, ან და  
თქვენეფთ ტომის ხალხის ოფლით იკვებებით, ეს არაფერი,  
ამას ნაციონალისტი ნაკლულეფანებათ როდი ჩავითვლისთ.  
აბა იგი რაღა ნაციონალისტი იქნებოდა! მართალია, დღე-  
ვანდელი ნაციონალისტება ის აღარ არიან, რაც ამ 30—40  
წლის წინეთ ყვენ. ამ ხნის განმავლობაში იმათ დროის შე-  
საფერათ იცვლეს ფერი. წინეთ თუ ისინი საქართველოს  
ძველი დიდების აღდგენაზე და სხვა ამისთანეებზე გაიძახლენ,  
დღეს ამას აღარ იგონებენ; პირიქით, თუ შემთხვევა მიეცათ,  
სხვის დასახანავათ, კიდევაც გაიკცხავენ ასეთ მიმართულებას,  
და სამაგიეროთ ფართო დემოკრატიულ მოთხოვნებს აცხა-  
დებენ. ერთი სიტყვით, თავის თავი გამოჰყავთ მუშა ხალხის  
მფარველათ. იმისი ინტერესების დამცველათ და მოსარჩლეთ.  
მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გოაცება, როცა ამ მუშა ხალხის  
გული ვერ მოიგეს. ის თითქო ასეთ პასუხს აძლევს ჩვენ ნა-  
ციონალისტებს: ფიცო ნუშამ. მაგრამ ბოლო მაკვირვებსო! თუ  
თქვენ მუშა ხალხის ინტერესებს იცავთ, ეს ისეთაც აშკარა იქ-  
ნება, რაღა საჭიროა ამის ძახილი! ჩვენ თითონ გავარჩევთ  
ჩვენ ძმებს და ჩვენ მიყვარეს. მაგრამ აქ ჩვენეფთ ოინაზებში ლა-  
პარაკის კილოის ცვლიან: თქვენ ვაბატრონობენ ისეთი პირები,  
რომლებსაც არ უნდათ, რომ თქვენ დედა ენაზე ილაპარაკოთ,  
და სწავლა მიიღოთ; რომელსაც სურთ, რომ თქვენ მიწა-წყალს  
უცხო ტომის ხალხი დაეპატრონოს; რომლებსაც არ უნდათ,  
რომ თქვენ თვითმართველობა გქონდეთ და თავის საქმეებს  
თითონ კანაგებდეთ, თითონვე ადაცხდეთ კანონებსო. და აი  
ჩვენ ყველა ამას თქვენ გაძლევთ, ოღონდ თქვენ ავტონო-  
მიან თანხმობა განაცხადეთო. მართალია, დღეს ჩვენ ხალხი,  
განსაკუთრებით მუშა ხალხს, ისე გულუბრყვილო აღარ არის,

რომ ყველაფერი ეს დაიჯეროს: მისთვის დღეს სიტყვას მნიშვნელობა როდი აქვს, იგი საქმეს უყურებს. მაგრამ ეს როდი ამართლებს ჩვენი ნაციონალისტების საქციელს განა იმათ არ ესმით, რომ ქართველი ბურჟუაზიის, ქართველი იმედაღ-წინააღმდეგობის და სამღვდელთაობის ინტერესებს არაფერი საერთო არა აქვთ ქართველ მუშა ხალხთან, ვერა იმისა, რომ ისინი ერთად, ერთ ტერიტორიათ ცხოვრებენ?—როგორ არა აქვთ, —გვეტყვიან ჩვენ: მაშ ქართული ენა არ აერთებს იმათ? განა ქართულ ენის განვითარებაში ყველანი ერთნაირად არ არიან დაინტერესებული? რომ ენა, როგორც ჰაერი, ყველასათვის საჭიროა, ამაზე მეტია ლაპარაკი. მაგრამ, ვისაც ამ ნიღაბზე უნდა სხვა და სხვა სასაზოგადოებრივ კლასების შეერთება, მორიგება და ან შეთანხმება, ის ან განზრახ იბრძავეს თვალს და ან უნებლიეთ შეცდომაში შედის. განა შესაძლებელია, რომ ქართველმა კაპიტალისტმა ქართველს მუშას მისცეს დღიური ქირა 1 მ. 20 კაპ., თუ სხვა ტომის მუშა იმავე საქმის გაკეთებაში თანხმდება მანეთათ? მაშ რას აჩივებენ აქ ან ენას, ან ეროვნებას? ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვითომც უარვყოფდეთ ეროვნებას. ეტყვს გარეშეა, რომ ქართველი ერთი არსებობს ისე, როგორც არსებობს რუსის, ან სხვა რომელიმე ერთი. მაგრამ საზოგადოებრივ ურთი-ერთობაში მთავარ ძალას წარმოადგენს არა ეროვნული საკითხი, არამედ კლასთა ბრძოლა, არა ეთნოგრაფიული საგანი, არამედ სოციალური საკითხი. მაგრამ სოციალურ კითხვაზე როდი უყვართ მსჯელობა ჩვენ ნაციონალისტებს. ისინი მაშინვე სხვა ქვეყნის მაგალითებზე მივითითებენ. თუ სხვა ერები შეადგენენ ცალკე სახელმწიფოს, თუ სხვაგან წვრილი ერებს მოწოდებული აქვთ ავტონომია, თუ მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვ. ცალკე სახელმწიფოებს შეადგენენ, საქართველომ რაღა დასაშვა, ქართველი ერთი რათ უნდა იყოს ამას მოკლებულიო. ჩვენ არ გამოვუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენად გონივრულია ასეთი კითხვის დაყენება. ჩვენ იმას მივამოყრებით ყურადღება, თუ როგორ, რა ძალდატანებით და ძალმომრებით გაკეთდა დღევანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრები: რით ხელმძღვანელობდნენ იმათ შექმნის დროს, ეროვნული პრინციპით, თუ ეკონომიურ მოსაზრებით? ვისთვის, რომელი საზოგადოებრივი კლასებისთვის იყო საჭირო დღევანდელი სახელმწიფოების დაარსება და იმათი ზრდა-განვითარება? განა მმართველი ხალხის ინტერესი მოითხოვდა იმ ზღუდვების ამართვას სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ბურჟუაზიულმა მთავრობებმა შექმნეს? მაშ დღევანდელი მილიტარიზმიც მუშა ხალხის სასარგებლოდ ყოფილა გამოგონილი. არა, მთელი ქვეყნის მუშა ხალხის მიზანს შეადგენს ამ ზღუდვების დანგრევა, და ყველა ქვეყნის მმართველი ხალხის შეერთება. მაგრამ ამ ზღუდვების დანგრევა არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, ისეთ ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, რომლებიც ბუნების, ე. ი. ფიზიკურ პირობების, შედეგია. როგორც ვთქვით, დღევანდელი სახელმწიფოები თავისი საზღვრებით კაპიტალისტური წარმოების ნაყოფია, და მუშა ხალხი არასოდეს არა თუ არ შეუწყობს ხელს დღევანდელი სახელმწიფოების გამაგრებას, არამედ ყოველთვის ეცდება, რომ დღევანდელი სახელმწიფოები მთელი თავისი ციხესიმაგრეებით და გარშემორტყმული ზღუდვებით, საზღვრების სახით, დაინგრეს. აი ასეთ დროს, ნაციონალისტები გაიძახიან ავტონომიის შემოღებაზე. ჩვენი ნაციონალისტების აზრია, ეროვნულ საკითხს გადაწყვეტს ავტონომია; ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეროვნული კითხვის გადაწყვეტა ამით არა თუ გადავიდებოდა, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება. მაგალითი იგივე

ავტონომიურია, რომელზედაც ასე ხშირად გვითითებენ ჩვენი ნაციონალისტები. იქ უმთავრეს ეროვნებათ მინიჭებული აქვთ ავტონომია საკუთარი პარლამენტით თუ სეიმებით, სწორედ ისეთი როგორცაა ჩვენი ნაციონალისტები თხოვლობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნული საკითხი სწორედ იქ არის საშინლად გამწვავებული. მაშ როგორ გსურთ ეროვნული კითხვის გადაწყვეტაო. მაშ რა საშუალებას იძლევი, რა გზას დავადგეთ, რომ ეროვნულ ნიღაბზე აღმოცენებული უთანხმოება, შუღლი და მტრობა მოისპნოს, —დაგვეკითხებიან ჩვენ. ჩვენი შეხედულებით ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა, მხოლოდ ნაციონალურ ქერქში გახვეული. ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იგონებს მშრომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას. როცა შეერთდებიან ერთი მხრით თითოეული ერის ყველა მუშები და მეორე მხრით ყველა ერების მუშები ყველა მხაგრელების წინააღმდეგ და დაამხობენ დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ბოლოს მოუღებენ კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე. ი. როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადაწყდება ეროვნული კითხვა.

ფ. მახარაძე.

**მთავრობის განკარგულება  
დებულება კავკასიის პოლიციის შესახებ.**

- 1) კავკასიის პოლიციის გამგე ნამესტნიკის თანაშემწეა და მიენიჭება ამ თანამდებობის ყველა უფლება და უპირატესობა.
- 2) პოლიციის გამგე თვალ-ყურს ადევნებს, ნამესტნიკის ხელმძღვანელობით, კავკასიაში სახელმწიფო წეს-წყობილებასა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვას.
- 3) პოლიციის გამგეს ეძლევა წელიწადში 12 ათასი მან. ჯამაგირი.
- 4) პოლიციის გამგეს აქვს საკუთარი კანცელარია, რომელშიც უნდა აწარმოვოს თავისი უწყების ყველა საქმე.
- 5) პოლიციის გამგეს ექვემდებარება ადგილობრივ საგუბერნიო, საოლქო და რკინის გზის გამგეობათა ყველა მოხელე და ციხეების ჟანდარმთა რაზმები იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება სახელმწიფო დანაშაულობათა აღმოჩენას და გამოძიებას.
- 6) ადგილობრივ ჟანდარმთა ყველა გამგეობის მოხელეთა დანიშვნა, გადაყენება, სხვა ადგილზე გადაყენება სწარმოებს პოლიციის გამგის წარდგენით, საზოგადო წესისამებრ, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომელიც აღნიშნული იქნება დებულებაში კავკასიის ნამესტნიკის შესახებ.
7. პოლიციის გამგის მოვალეობა:
  1. პოლიციის გამგე ხელმძღვანელობას უწყევს კავკასიის ყველა საგუბერნიო ჟანდარმთა საპოლიციო გამგეობებს და საზოგადო პოლიციას, რომელიც აწარმოვებს საიდუმლო გამოძიებას, ზედამხედველობას, პოლიტიკურ დანაშაულობათა გამოკვლევას და აღკვეცას და ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობის გამოძიებას, პოლიციის გამგის განკარგულება ამ საგნების შესახებ მოხსენებულმა პირებმა და დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ უნდა აასრულონ;
  2. პოლიციის გამგე ხელმძღვანელობას უწყევს საიდუმლო პოლიციის მოქმედებას, ნამესტნიკის მიერ აღნიშნულ წესით და პოლიციის დებარტამენტიდან მიღებულ საზოგადო მოსაზრებისა დაგვართა;

3. ხსენებულ ორ მუხლში მოყვანილ საგნების შესახებ პოლიციის გამგე, ნამესტნიკის განკარგულებით, უგზავნა გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს განმარტებასა და წინადადებას;

4. განაგებს თანხას, რომელსაც პოლიციის დებარტამენტი აძლევს კავკასიის ჟანდარმთა გამგეობებს და საიდუმლო პოლიციას;

5. თვალყურს ადევნებს, თუ რამდენათ წესიერათ ეკიდებიან სატუსალოებში პოლიტიკურ დამნაშავეთ და შესაფერ განკარგულებას იძლევა ამ საგნის შესახებ;

8. პოლიციის გამგეს გუბერნატორებსავე უფლება აქვს ერთ თვემდის დაატყვევოს ის პირნი, რომელნიც შეიპყრეს სახელმწიფო წესწყობილების და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველათ არსებულ დებულების ძალით.

9. მოხსენებულ საგნების შესახებ პოლიციის გამგეს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგთან, რომელიც განაგებს პოლიციას, პოლიციის დეპარტამენტთან, სამოსამართლო პალატების ბრალმდებლებთან, გუბერნატორებთან, ოლქის უფროსებთან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან.

10. თუ სადმე წესიერება დარღვეულ იქნა, პოლიტიკური ხასიათის შემთხვევა მოხდა, ან ადგილობრივ ცხოვრებაში რომელიმე არა-ჩვეულებრივმა მოვლენამ იჩინა თავი, ჟანდარმთა კორპუსის და საზოგადო პოლიციის მოხელეები აცნობებენ აგრეთვე პოლიციის გამგესაც.

11. პოლიციის გამგეს ეძლევა უფლება:

ა) დროებით გააძლიეროს საქიროებისამებრ ჟანდარმის უნტერ-აფიცურთა რიცხვი—მოაკლოს ჟანდარმთა ერთს რომელსამე გამგეობას და მეორეს მოუმატოს.

ბ) დაამტკიცოს ან გამოსცვალოს ჟანდარმთა უნტერ-აფიცურების სადღურები კავკასიაში;

გ) თუ ჟანდარმთა რომელსამე გამგეობას მოხელეთა სკამო რიცხვი არა ყავს, სხვა გამგეობიდან შეავსოს;

დ) თუ საქიროება მოითხოვს, პირადათ ან თავის ხელკვეთთა შემწეობით მოახდინოს რევიზია პოლიტიკურ საქმეების წარმოებისა და საიდუმლო პოლიციის ხარჯებისა.

სხვა და სხვა ამბები.

— ფინანსთა მინისტრმა კოკოცკევმა განაცხადა: რუსეთში საქმე ისე გაიხლართა, რომ ხაზინა ფულის შოვნას ვეღარ ახერხებს; თუ რუსეთის შინაგანი პოლიტიკა არ შეიცვალა, მე იძულებული ვიქნები სამსახურიდან გადავდგეო. (რ. ს.)

— ვენის გაზეთი „ცეიტ.“-ი სწერს: 21 მაისის ბრძანებით, პოლიციის მინისტრი ტრეპოვი „უფროსთა უფროსი“ გახდა. დღეიდან ტრეპოვის მინისტრებიც უნდა დაემორჩილნენო, — სწერს ზემოხსენებული გაზეთი (რ. ვ.).

— გაზეთ „მატენ.“-ის აზრით, პოლიციის სამინისტროს დაარსებით რუსეთში განახლდა განთქმული მესამე განყოფილება (რ. ვ.).

— ბალტიის ზღვის მეზღვაურებმა გაქცევას მოუხშირეს. ზოგჯერ მთელი ჯგუფები მირბიან და საზღვარ-გარეთ გადიან. ამ დღეებში პოლიციამ რიგაში 25 მატროსი დაიჭირა და პეტერბურგში გაგზავნა. (ნ. ე.).

— ფინანსთა მინისტრის კოკოცკევის კომისია გაუქმდა. მიზეზი ის იყო, რომ კომისიის ზოგიერთი წევრი არ თანხმდებოდა მუშათა კავშირებისა და გაფიცვის დაკანონებაზე. კომისიას ცნობილმა სენატორმა შიდლოვსკიმ პირველმა და-

ნება თავი. შიდლოვსკი დიდი წინააღმდეგია იმისა, რომ მუშებს გაფიცვისა და კავშირების უფლება მიეცეს (რ. ვ.).

ქუთაისის საპრობილეში ტუსაღები გაფიცულან. როგორც მოგვხსენებთ ტუსაღებსაც აქვთ ერთი საშვალევა გაფიცვისა. სახელდობრ საქმელზე ვარის თქმა. და აი ქუთაისის საპრობილეში ტუსაღებმა შიმშილობა ჩამოაგდეს. როგორც ვაგივთ, რამდენიმე კაცი თითქმის სიკვდილის პირზე მიმდგარა უქმელობით. უმთავრესი მიზეზი ასეთი საზარელი გაფიცვისა არის ხიდისთაველი ტუსაღების საქმე.

1903 წლის გიორგობისთვეში დაბა ჩოხატაურში ჯარში გასაყვანი ახალგაზღვები იყვენ მოწვეულნი კენჭის ამოსაღებათ. კენჭის ამოღების შემდეგ ახალგაზღვებმა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს და ბაზარში წითელი დროშით ჩამოიარეს. მთავრობამ ექვი მიიტანა რამოდენიმე კაცზე და დაატუსაღა. მას შემდეგ, წელიწადი და რვა თვე გადის, ისინი ციხეში სხედან და საქმე ჯერაც არ გარჩეულა.

1904 წლის ორ მაისს სოფ. ხიდისთავიდან ორასიოდე ქალი და კაცი ჩოხატაურისკენ გაეგზავრა, რომ იქ სხვა სოფელელებთან ერთათ მოელოპარაგნათ მემამულეთა მიწების შეფუშაების შესახებ. მშვიდობიანათ მიმავალ ხალხს გზაში პოლიცია გადაეღობა და ორი კაცი მოუტლა. ერთი იმათგანი ესე კალნადაქ მთელ საზოგადოებაში ცნობილი იყო, როგორც მართალი, გაპბეადეი და პატიოსანი ადამიანი. ამ საქმის თაობაზე ხიდისთავში ბევრი კაცი დაატყვევეს და ისინიც ქუთაისის სატუსალოში სხედან. მათი ბრალდება, წითელ ბლანკებზე დაწერილი და სიმართლეს მოკლებული, უთუთო რომელიმე გამომძიებელის შვაფში აწყვეია. საბრალო ტუსაღებს კი შიმშილით სიკვდილი უმჯობინებიათ აყროლებულ ციხის კედლებში ტანჯვა წვალებით ჩარჩობას.

— თბილისის მაზრის უფროსს აცნობა კოდის საზოგადოების მამასახლისმა, რომ არცერთ სოფელი ჩემდამო რწმუნებულ საზოგადოებისა არავითარ გადასახადის გადახდას არ აპირებსო. მამასახლისი სთხოვს მაზრის უფროსს ამის შესახებ რაიმე ღონის ძიება მიიღეთო.

— სიკოცხლის დამზღვევ საზოგადოებათა უმეტესობამ გააფრთხილა თავისი აგენტები, რომ კავკასიაში პოლიციის მოხელეთა სიკოცხლის დაზღვევა რაც შეიძლება შეამცირონ.

— თფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის განკარგულებით, ზედამხედველობა სახელმწიფო დანაშაულობის საქმეთა წარმოებისა და ამასთანავე ოლქის სასამართლოს, პროკურორის ყოველგვარ მოვალეობის ასრულება, რომელიც 1904 წლის 7 ივნისის კანონიდან გამომდინარეობს, ევალება სამოსამართლო პალატის პროკურორის თანაშემწეს სკოპინსკის, რომელსაც ამხანაგათ დაენიშნება საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე ტურბოვიჩი.

— 1 ივნისს ნახაჩევანის მიდამოებში, ჯულფის გზაზე და საზღვარზე ჟღეტა-ხოცვა იყო.

— 31 მაისის ღამემ ერევანში წყნარათ ჩაიარა. პირველ ივნისს დილით ხალხი ბევრი იყო. ქალაქში ყველა შემოფთაე-ბულია, ამ დღემ 12 საათამდე მშვიდობიანათ ჩაიარა. სომხებისა და თათრების მორიგება ვერ მოხერხდა, ჟღეტა-ხოცვა და ცეცხლის წაკიდება სომხთა სოფლებს ხანლუკლი არსა, აპაკულუსა და დიდილიში.

— 30 მაისს ლოძის მახლობლათ ლეგენიკაში, ბრბომ მოკლა ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი პრინიჩიკო.

— მინსკის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრო-

ბასთან, რომ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნან ხალხის წარ-  
მომადგენელნი.

— განთქმულ ზუბატოვს, რომელიც მუშათა თანამედ-  
როვე მოძრაობას განუვითარებელ მუშათა ორგანიზაციებს  
უყვებოდა წინ, მთავრობამ წელიწადში 5000 მანათი პენსია  
დაუნიშნა.

— მარიუპოლში, 30 მაისს. ნავთ-სადგურში მუშებ-  
სამუშაოზე არ გამოსულან, მთელი დღე სიწყინარე იყო  
ქალაქის საბჭომ დაადგინა, შინაგან საქმეთა მინისტრს დე-  
პეშით თხოვონ, იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე ხალხის  
წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე.

— ბოგოროდსკში, 30 მაისს, შიბავეების ბრძანებზე გაი-  
ფიცა 880 ფიქარი; თხოულობენ: ხელფასის მომატებას შე-  
ფასებით და სამუშაო დროის შემცირებას.

— ვილნიდან ტელეგრაფით იტყობინებიან: 30 მაისი.  
პოლესის რკინის გზათა საერთო საკრებულომ დაადგინა:  
ამიერიდან ამ გზებზე მომუშავეთა და მოსამსახურეთა აღარა-  
ვითარი ჯარიმა არ გადახდებენ—; სახელოსნოებსა და დე-  
პოტებში დაწესონ 9 საათის სამუშაო დღე, შაბათობით კი—7  
საათისა. მუშებს მიმართონ ხოლმე „თქვევობით“; იმ მუშას,  
რომელსაც სამი წელიწადი უმსახურია, რკინის გზის უფროსი  
კომისიის გამოუძიებლად ვერ დაითხოვს. ამ კომისიაში მუ-  
შების წარმომადგენლებიც იქნებიან.

— 28 მაისს ტიუმენის მტვირთველ მუშებს შეუერთდნენ  
დაბახანისა, მხერხავისა, თუჯის ჩამომსხველ ქარხანების მუშე-  
ბი და მალაზის ნოქრები. აირჩიეს დეპუტაცია ოთხთვილი-  
ბათა წარსადგენად. მუშათა პეტეციას, 29 მაისს, განიხილავს  
სოცდევართა კრება. ნოქრთა მოთხოვნებიანი დააკმაყოფი-  
ლეს. სამუშაო დღე 10 საათით განაზღვრეს; უქმე დღით  
შესვენება და სამედიკატორო სამართალიც დააწესეს.

— 2 ივნისამდე ქუთაისში საერთო გაფიცვა იყო ყველა  
დუქნები დაკეტული იყო. ქუთაისში ეტლახის მიმოსვლა შეწყდა;  
მხოლოდ კაზაკები და ჯარები დადიოდნენ. გუბერნატორის  
ბრძანებით დაკეტეს ბუღვარის და თეატრიც. 2 ივნისს, ნაშუა-  
დღეის 2 საათზე, გაფიცვა დასრულდა მას შემდეგ, რაც  
საპრობიოდან გამოუშვეს 15 პოლიტიკური ტუსაღი, რომ-  
ელიც ერთ წელიწადზე მეტია, რაც სატუსაღოში იჯდნენ.

— ბ. ნ. ა. გოთუას მაგივრათ ბ. ნ. პეტრე მირიანაშვილი  
დაინიშნა ცენზორათ.

— კოდის სოფლის საზოგადოების მამასახლისმა აცნობა  
ტიფლისის მაზრის უფროსს; ჩემდამო რწმუნებულ სასოგადო-  
ებას გლუხეზი არაფითარ გადსახადს აღარ იხდიან და გთხოვთ,  
რამე ღონისძიება მიიღოთ.

— გაფიცვის გამო ქალაქის საყაროში საქონელს ხოცა-  
ვენ ჯარის კაცნი და ფურგუნებით წამოდებულ ხორცს ქა-  
ლაქის დუქნებამდის კაზაკები მოსდევენ.

— რადვანაც სამაზრო სამხედრო საკრებულოებმა არე-  
ულობის გამო ვერ წარმოადგინეს საგუბერნიო სამხედრო  
საკრებულოში სიები იმ ყმაწვილ-კაცებისა, რომელნიც უნდა  
გაეწვიათ სამხედრო საკრებულომ შეაერთა წარსულ სამი  
წლისგანწვეულთა რიცხვი და ერთათ წარუდგინა მთავრობას.  
ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ ქ. თფილისიდან წელს გაიწვევენ  
604 ყმაწვილ კაცს, ტფილისის მაზრიდან—736 ახალქალაქი-  
დან—815, ახალციხიდან—370, ბორჩალოდან—1053, გო-  
რიდან—2158, დუშეთიდან—662, სიღნაღიდან—1108, თელა-  
ვიდან—731 და თიანეთიდან—293 კაცსა.

— სამეგრელოში შიმშილობა ჩამოვარდნილა სიმინდის

უქონლობისა გამო. მცხოვრებნი გამგზავრებულან კავკასისა და  
არმივირისკენ სიმინდის შესასყიდათ.

— 31 მაისს კავკასიის ტყის უფროსების კრება დაიჭა-  
რდა. კრებამ დაადგინა: შემოდებულ იქნას ერობა, ნაფიც  
მსაჯულთა სისამართლო, მონასტრებისა და ეკლესიების მიწე-  
ბით დასაუქრების მოსპობა, გადმოსახლების საქმის შეჩერება  
და მცირე მამულიანი გლეხების მამულებით დაჯილდოვება,  
ტყის გამგებების-მეორ აუცილებლოვ ადგილობროვ ენერჯი სო-  
დნა და სატყუო საშუალო სკოლის დაარსება, სიდაც ყვე-  
ლას, განუჩრეველთ ეროვნებისა, უნდა ქონდეს სწავლის ნება.

— 31 მაისს საბჭოს დარბაზში კრება ქონდათ წვრილ  
მოვაჭრებს, რომელთაც ქალაქის თავის მოადგილემ თავ-  
ჩერქვაშვილმა განუცხადა, გუბერნატორის ნებადაურაველად  
კრების გამართვის ნებას ვერ მოგვცემთო. ვაჭრებმა მიიწე და-  
ადგინეს, განაგრძონ გაფიცვა ვიდრე მათ მოთხოვნებიანს არ  
დააკმაყოფილებენ.

— თამაშევის ქაოვასლის პატრონებმა მოვაჭრებს მხო-  
ლოდ ვალო, 7000 მანათი აპატეს, ქირების დაკლებზე კი  
უარს არიან. ქალაქის ყველა ნაწილში პოლიციამ კაზაკების  
დხმარებით ძალათ გადაღებინა დუქნები. ვოჯაღითან პოლიციამ  
ჩაღწეა ერთი ღვინის სარდაფი, რადგან პატრონი არ აღებდა.

— სამშაბათს, 31 მაისისს, საღამოს 8 1/2 საათზე, თამა-  
შევის ქაოვასლის კარებთან მოკლეს მეოთხე საპოლიციო  
უბნის პოლიციელი ნოკონ შელუხი. მკვლელი აღმოჩნდა სოფ.  
დიდთნეთის მცხოვრები, ივანე დიმიტრის ძე შავშიშვილი;  
შავშიშვილი წინათ რკინის გზის სახელოსნოებში მსახუ-  
რებდა თურმე და ამჟამათ უსაქმოთ დაიარებოდა.

და ბ ა — ს ო ფ ლ ი ს ა მ მ ე ბ ი.

**სოფ. გუბი.** დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას  
არც გუბი ჩამორჩენას უკან. შვიდ თვეზე მეტია, რაც ხალხი ჩამო-  
ტყდა მოაზრობის დაწესებულებათ; დღეს თვითონ განაჯებენ  
თავიანთ საქმეებს, და უნდა საწამოვნებათ ადგენიან, რომ რაც ეს  
შინაურული მართვა-გამეკობა შემოადეს; შის შემდეგ ძალიან აგლო  
უბრალო საქმეებზე სწავარნა, რომელსაც—ქ კალიფინკობასა-ს-  
ქსიან და მომხავეს თვით მოკლეს ჩნეობრევი სსსკელი.  
თუ რთული საქმეა განსწავლა, ამხანაგურათ, მეხობდურათ, უდაზ-  
რკათ მოიწვევენ ამისთვის სკანკებოთ დახიშულ მისამართლე-  
ებს, და თუ წინათ ასეთ საქმეზე ორევე მხარეს 500 მანათობით  
ესწავრებოდათ, დღეს ერთი კაპეკად აღარ ესწავრებთ და საქმეც  
მალე თავდება. ასეთი სსსმართლეს განჩინათ ორევე მხარე კა-  
ეფიფიდა რჩება და მხარული გამოადან სსსმართლეს დარ-  
ბახადან. ადგილ-მამულის საქმეც უჩნებრათ და უდადმომრეობით  
მოაკვარეს:—ზირეკლა ხარისხის მაწა გაიცა სსმეოთხედით, (წი-  
ნათ სსსსკეროთ აუა) მეორესი—სსმეუდიდით, ხლო მესამესი—  
სსმეაუდით, ანუ ქრევა 50 კაპეკათ.

გუბის მოხარდ თანხასაც არ დაუკრებია გულზე ხელი. მა-  
თაც იგრძნეს ეხლანდელი სკოლის სრული გაკოტრება, და  
შუკერთეს პრეტესტის სხა თავიანთ ამხანაგებს. მარტის შუა  
რეცხეში, ერთ მშენებელ დღეს, დღევანდელი განსწავლი ბუერო-  
კრეტული სსსკოლო ზრგანმა უკარესათ და გრეების დამაწლუ-  
ტებლათ აღიარეს. ორევე სკოლებმა—ქალებისამ და ვაჭებისამ მა-  
სწავლებლებს განუცხადეს: „უუკრებოთ რა რუსეთის განმათავისუ-  
ფლებელ მოძრაობას, ხელს ვიდრე დღეადგან სწავლასკოა“ და  
თანაც ორევე სოფლებში, დიდსა და ხატარა გუბში, წითელის  
დროშებოთა და „მარსლეაქსის“ და „дружно товарищи“-ს სი-  
მღერით დემონსტრეტაუდათ ჩამოაარეს.

ამის მოგვა მასწავლებელთა გაფიცვან, რის გამოც ვეღარც ვიქნებით შეკრებილი და მოსახლეობის მიერ წესდებულ შეხვედრებზე.

ზოგაერთები რომელიმე სისხილეს კრიტიკიან და თავის სიძინს ეფარებიან, გაძახიან:—წახსდით, ხალხი გაირიყნა, ადრ არის მორიდება და უფროსის მტრებისა, და თუ ამ დრომ დიდხანს გასტანა, შენი მტერი ხეენ უფროსის კარგებზე მოვიდეთო. ნუ დაიპყვეთ, რომ ამის გაძახიან ისეთი ზიარება, რომელთა ბედნიერება სხვის უბედურებაზე იყო აკებული, და თუ დღეს ასეთი უპასუროდობი არიან, ეს ასე უნდა მომხდარიყო და ხეენ ეს სრულიად არ გვაძინებს. ზიარებითი კერძებია ვითომ გასწორდნენ და გაძახიან:—მოკლეთ უფროსი ხალხის ერთობა—სი, მაგრამ ხალხი დაწმინდებულია, რომ ამით ისინი თავს ვერაფერს აუხვევენ.

ლადო გუბელი.

**ქ. ხარბინი, 22** ანდელი (საყოთარი კორესპონდენტი) მისკოვიდან გაუგეო 30 მარტს საღამოთა; ხეენს მატარებელს ორი მორე კლასის სამხედრო ვაგონი ახლდა ოფიცრებისათვის. შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო ოფიცერი მიემგზავრებოდა, რომელთა შორის სუთმად ქართველი იყო; სივთა შორის ზედმად კოფინი ერისათვი, რომელიც დაინიშნა სახალისის დამცველ ჯარში; როგორც აქ ისმის, მასის ზირველ რიცხვებში, ვერძის რუსეთიდან აქ უნდა ჩამოვადეს 400,000 ჯარის კაცი; იმათგან ერთი დეოზია გაიგზავნება სახალისზე, დანარჩენი ქ. გუბელიში და ვლადიკავკაზში. ამ დროს შეხვედრები იქნება ციმიანის რეისის გზაზე საქონელის და ბარვის მატარებელთა მოგზაურობა, აგრეთვე დაჭრილთა ევაუება; სოლო სოფელი მატარებელი, ხმა დანის, ვერაში ციმიანის ოფიცრის ორჯერ წადლებს შიდა რუსეთში. ამიტომ მისკოვიდან თითქმის ყველა სადგურზე მხედობდა საჯარო (სამხედრო) მატარებელი დაჭრილ ჯარის კაცებით გასული; თუმცა ციმიან და სალდათები მარტო თორეულის ამარა ადგენ თავიანთ მე-4 კლასის ვაგონებში, მაგრამ სახე ყველას უბრწყინავდა სამშობლოში დაბრუნების იმედით. მოვადდა თუ არა ხეენი მატარებელი სადგურში, სადგურში მატარებელი იდგა და ხეენს მისვლას უნდოდა; დაჭრილი მამიხეე თავის ვაგონების, „ტექსტუკები“, ფანჯრებს მისწავლდნენ; და ცნობის მოყვარებით გვარქმედობდნენ, იქნება ვინმე ნაწილობა ვინათით. რამდენს უფრო და უფრო უახლოვებით ურალის მიდის, სადგურებში იმდენათ მეტ დედას ამხნეუთ საზოგადოების; მიმავლათა სასხედ სრული სასწავრობითა ლეობა იხატება. გამდიდრებელი კულ-ამოქმადარნი სტირანს. არაფერ არ სურდა ამ ომის მოკვება, არაფერ არ იწყევენ ბრძოლის ველზე რაიმე შეხვედრები ინტერესი და თუ მიდის, მიდის ასე, როგორც დასავლეთთა გამხადებელი ხანი სასავლადსე. ვისაც კი გავევარნი სალადანკოთ ომში მიმავლათგანს; ყველა სრული ხიზლით იგონებს ბიურთვარტაის, რომელმაც ეს განსაზღვლი თავის მოგვსხვია. თუ რამდენათ შეუძერა აღმოსავლეთში მიმავლათა სული და გული, ბიურთვარტაისადმი სიძულადეს, სიხანს აქიდან, რომ ხეენ მიმავლ ორ სამხედრო ვაგონში არ დაჩქილიან. არც ერთი, რომელსაც არ ეთხოვონ და არ წაქეთხონ; ახლათ გამომდებული ფრანკულიდან ხათარგინა მტრის წიგნაკი შემდეგი სთათურით: „Они не знали...“, რომელაც მე ერთ სადგურზე ვიდედ შემთხვევით. შესანიშნავია ისიც, რომ ციმიანის გასეუბი, ხშირათ წერტილებითა და დასრულებული პრეტიათა სახე-მაც. აღმოსავლეთის უწყებებში, რომელიც ირკუსსში გამოდის. ტელეგრაფებით განსხვავებულია, ასე რომ რაიმე სხვად ამბავს თავს გაიგებთ ტელეგრაფით, სოლო დასრულებით. კა. თვით მიკთხელების ციმიან უნდა დასრულებს. თუმცა არც ხეენთან ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ციმიანთან შედარებით ბევრათ უკეთეს მდგომარეობაშია. ხსენებული „ად-

მოსავლეთის უწყება“ ტერნად-გუბერნატორის განკარგულებით დაახურა სამი თვით, მარტო იმიტომ, რომ „Нов. Врем.“-დან გადასტვდეს კლადის წერილი, რომელიც სახლოთა უწყებან ბრძლის სდებს ხეენს ოფიცრის უფარვისაბისთვის. მთელი ციმიანის განთქმული გაუგეო ტუეები (ტავებია) ან განხილათ სახლის მტარცველთგან, ან გადამწვარი. —ქვემოთდისსეში კადევ დაჭრილთა მატარებელი შეგვხდა: ბეერი მათგანი უთვლო, უხელო, უფეხო იყო; ზირველი ამითა თხვანა—გასეთი იყო. ხეენ არ ვიცი, რა ხედობს სამშობლოში, გავაკეთეთ იქურა ამბავი, „საბრადლინი, უბრადლით დამნაშავენი, სცველების ამარა იყვენ. სიცი-ტავილებიანსკის სული უწუხდათ, მაგრამ სახე უბრწყინავდათ, შინ მიდიდენ! შინ მიდიდენ; სიკვდილიან სიციფლებში, და სახეზე სიხარულის შექმი უბრწყინავდა, იმისდა მოუხდავათ, რომ ხმელ ძელებზე ევარენ დაჭრილ-დასქინებულ-დაქსნულთა.

დამდება და ხეენს ზემოთდისსეში შევდივართ. ქალაქი არაფრითა შესანიშნავი და თუ მოვაგონე იმიტომ, რომ ამ დევებში, როცა ხეენ იქ შევედით, დაახურა აღმოსავლეთის ინსტიტუტი და სტუდენტები დათხვავდ იქნის 1 ინკენისთვეულ. მოუხდელით ხიტას და ხეენს თვლწინ გადაშლას შეეხიართ, ვაშლია ქალაქი ევროპულათ მორთული, ფართე ქუჩებით, დამნაშა ქეთს და აკურენს შეხებებით. შევედით თუ არა სადგურში ზირველი სიტყვა „ზახანსტოვა“ გაიგონეთ. ეველას ეს სიტყვა ეკერა ზირვე. საქმე იმაშია, რომ წინადევებში რეისის გზაზე მამუშავეთ მუშაობას შეევეტა განქმნისათ, ეს გავლო მთავრობას და მამიხეე ორი რეისის გზის ბატალიონი მოეკვია თან უწესობის საწინააღმდეგოთ და თან, თუ ვინიცობას, მუშები მუშაობას შეევეტდენ, სალდათები იმით აღავას დაეუქნებათ, მაგრამ ცდამ ამით ჩაიარა: მუშაობა არ შეევეტდა გზაზე.—აქ ხმა დანის, ვითომ რუსის ჯარის წინამძღოლთ არავითარი წინახზინ, ზღანის, სისტემა არა ჭკოთ შეეკენილი და შეტკავებს დროს შემთხვევა რასაც ხეენებს; იმის ემორჩილებიანო. როგორც მავალითით, ლითანის ბრძოლას უხვეუბენ, რამდენათ მართლდა ეს, აქ ჯერ არავინ იცის, სოლო რაც შეეხება ხეენს ჯარების „სულიერ განწყობილებას“, უნდა გამოგვრდეთ და უთქვათ, რომ ნამდვილი ზესიმბაზში შევადის; ყველა დავა სულით, რწმენა ადრ არის, გამარჯვება არაფერ სწამს. აი ის სიტყვები; რომელსაც ხიტაში იმეორებს როგორც მხედრო, ისე მოქალაქე და გლეხი. დავტოვეთ ჩიტა, ვოზხლადან ერთ ვერსის მანძილზე; მდლოთ-ბუედ წამომდგარა ხის მატარა ეველები; გარეობით იგი არაფრით შესანიშნავი არაა, მაგრამ—ბევრს რამეს მოვითხობს წარსულიდან: ის არის ისტორიული ნაშთი, —დეკანოზიტების სელით ამხეუბელი, ის გუენობა; როგორის სისწრაფით იღვლებს დაძახანი გარემოებისათა და დროის ვითარებათა ყუავლებას ქვეში... ჩიტადან იწყება თვალ უწვდენელი უტრეო ველები—ბურთატაის სამიფლობელი, რომელიც უერთდება აღმოსავლეთით მარჯურას, იმეგარისევე განიოკებულ, უდაბურ მხარეს; როგორც ზირველია. რამდენიმე ასი ვერსის მანძილზე სასურბატოში ერთ სანამიკოთ სურათის ვერა ნახეთ; გადამწვარი მიწებებები, გამსმარი — გაპარებებელი ბუნება; თვალთ ვერაფერზედ ასეუბებს. აი ის მხარე: სადც მურბატო თავის ჯოჯს და ფარს აძოვებს. ხეენ ბურთატაის ვერკავამილდრეს, თუმცა იათო საქონელზედ, როგორც ხეენი ვაგონის მოსამსხურეს თან მხლებმა (ვიდა) გვაბობა, უქვს მურენ ხეენი მთავრობა იღებს ბურთატისგანთ; ზირველია რომ რეისის გზა გასვლა, მამინ შეუხვეველ ზირუტეუთ თურმე მუსნს ავლებდა მატარებელი ერთით სოლდა ოც-ოც ჰქელეს, მაგრამ დასიხეულია მატარბი-ბურთატა იმაღლებდა და ამიტომ ყველა იმთხილდა ამ შევარებათ. უხლ კი საბურთატო გადაბრდა, ისე ბეერი ჯოჯებია არა ჭკოთ როგორც წინათ ვევედით, დამატა ვიდას; მთავრობები მხედნობა მდიდრან ძალიან, მაგრამ ჭინა მატრობი შეამუშავსო, განკრძო მან ხეენს ვეინდა ასეთი ადგილები რომ

შრთმა არ დაგვიტოვებს, ისე გავმდიდრდეთო. შიგ, ამ ბურატოს უდაბნოში მხოლოდ ერთი ბუფეტია სადგურ ბორძიში, მაგრამ სწორედ წვალბა იყო ვაკინიდან სადგურში შესვლა: ისეთი ქარი ჰქროდა, რომ ჰგებოდა ეგვიპტის, —სახლების სხურაეს; სადაღოთა ჰქროდა. მტვერმა ისე დააბნელა გარშემო, რომ არაფერი ჩნდა. სწორეთ ქარის სამივლბობლათა როგორც საბურატო, ისე მან-ფრთა. სეტვის არსად არაფერი ჩანს, პალახი გადაწყვარია ზამთრის უინვისაგან და ზავსულის სიციხის და ცეცხლისაგან. სადგურ მან-ფრთაში მივედით დამის 9 საათზე და ამავე დამეს ხარბიში გავწიეთ. მავფურთაში, სად. ხალაღში სავანებო სწრაფი მტარებლათ ჩვენი დაგვიწია შესავე არმიის უფროსი, გენ. ბატონაგვი შუატჩანის კაცი, მამიდ მოხუცებული (მარჯვენა ხელი გულზედ ჩა. მოკიდებული აქვს) მშვიდ, მოხუც მოქალაქეს ეფერ მოგვანებმ-ვიდრე შეომარს: მასში არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია დადღოდ, დაქნებული ჭარა ვამხსნეოს, გრძობაზე აუღლებოს, თვე დაავი-ეუბინოს, სურთთ სულა ჩაუღვას და ამის ველზე საბრძოლველათა გა-ეკანოს: რქმენას ის ვერავის ჩაუხერგავს, ვერ გაუღვიბის გულში-მოხუცებულია; დასვენება ენატრება! მასთან ნამდვილ კონტრასტს, შეადგენენ მისი აღიურანტება: ახლავაზრდები, სინოცხლეთ სავსე, „МАМЫНЬКИНО СЫНКИ“, ვოპწათ გამაწობადი, დამაზი კოპწათ წვერ-ულავსებით, ასინი ბანოვანთა ვავლერებს უფრო მომავინებენ, ვიდრე შეომარს; ასე გეტყობა, ეს ხალხი პაღლი მადან სა-ქორწილათ გამაწობადი და არა ბრძოლის ველზე სადაც ამ-ტელა სისხლი იღვრება; მდარე დაღონების შუქი მათაც გადაჰყრავს სხეზე.

19 ანდელს მივადრეთ ხარბიში. დამის თრი საათი იყო. დამე ვაკონებში დაჯრით: ვავსალი მთლად ხალხით სავსეა—ზოგი უახროდ და უმიხონთ დახეტიალბობდა ძილ მორეული, ზოგი ბუტრბრძლას და ლუღს შეეძრეოდა; ზოგიც ვახშობდა; ვის და რა ფორმას აქ არ ნახავდა, მაგრამ რიცხვით შეტო მხედრება იუ-ვენს, —თფიერება, ექამება და მოწყალებს დანი. მთელი ეს ხალხი ფუსფუსებდა, ზუზუნებდა, დაპარაკობდა და ეს სმურთობა ჰქონს აურეუბდა. ზოგს, შეტო დადალულთ, ეძინათ სადღე მოხუცებთა: სკამებზე, სტოლებზე, იატაკზე, ტომრებზე, ან არა და თა-ვისივე ბავაზე. ვოკაღის ბაქანზე ფუსფუსებდენ ჩინელი მუ-შუბი. შუატჩანისა, მავგრემინი, გრძელი დაწილი თმით, არც წვერა, არც უღავში, ისინი ბავშვებს გავინებენ, სხვე ძლადან კეთილი გუ-ლურბეული გამამეტრეელებას აქვთ. ეველა რამეს აკეთებს. ნელა დინჯათ, აუჩქარებლათ, მაგრამ მედგრათ. როგორც ეტეობა, ძლიერ სუსტი აკებულბობს უნდა იუვენ. ჩვენი კაცი, ვგონებ, დინით ხუთ ჩინელს შეედრება. ათ შურათ „ჟენერაგში“ ხუთ ვერსზე წავიფვანს თავის ფაატონით (ჟენერაგში ეძახან მეფაატონეს; რ-მელიც ფატონში ცხენის მავკერ ეძახს და მთავარ) მამის, როცა ცხენიანი ფაატონი 5—6 მანათს თხოულბობს. თითო „კანტეი“ ჟენერაგში დორს აბაზა, სავი შურთ. ამით სარგებლობს ეველა, თითქმის საღათიც. ათ ერთი მავალთით: მთერალი საღათით ვოკხლიდარ მიდის ქალაქში 5 ვერსის მანძილზე, ქირაბას ჟენ-რაგში აბაზათ, ჟღას და მიდის, მაგრამ თან უდიერათ ეკებობა ჩინელს, ცემს, ნამდვილი ცხენი ჰგონია. ჟენერაგში ჩერდება და უარს აცხადებს წავუნახზე: ერთს მცირეთ დაარტყამს საღათის, ანებებს თავს და მიდის გაჩზე. ამ ნაირათ გადაუხდა ჩინელმა საღათის ჩვენი-თავაწინ უდიერი მოჭერობის საშავკერო. შედისრთ თუ არა ვოკხალში, გეღელზე გარეული განცხადებები იჭრობს თქვენ ურადლებას, განსკუთრებთ ხაში. ერთი მათგანი აკონებს ახლათ მოსულ სამხედრო ზირებს კარნიზონის უსტავის 407 მუ-ღს საკომენდანტოში გამოცხადების შესახებ; მეორე უერდაღავს არა ფორმის ტჩისამთით სიარულს ქალაქში, რომელიც შესახა-ნავი სიტყვებით ბოლოვდება; ათ ის სიტყვებიც: у кого нѣтъ форменной одежды, тому незачѣм ходить въ театръ

ИЛИ ВЪ ЦИРКЪИ ამ განცხადებზე ხელი უწერია ხარბის გან-ზონის ნახალხის გ. ლ. ხადაროეს. შესამე განცხადება შეეხება სსსტუმრო-სასალოლოებს. ზემოხსენებული გენერალი აცხადებს, რომ ხარბიში მოსულ სამხედრო ზირებს შეუძლიათ ისაღიღონ ან ჩა-მოსტენ მხოლოდ სამ სსსტუმროში, დანარჩენში აკრძალულია. იქნება გველონოს, რომ ეს სავი სსსტუმრო სხეებზე უკეთესია? სრუ-ლიად არა, ბევრი სხვა უკეთესიც არი, მამ რას მიხედა? არ ვიცი და არც ვინმემ იცის. ზირველი განცხადების შედეგია ის, რომ ახლათ მოსულმა ექვსი კანცელარია უნდა შეითაროს: 1., კომენ-ტანტის სამმართველო, სადაც მის დოკუმენტებზე მეტად დაკ-რავენ; 2., შტაბი ზურგის ჭარასა, სადაც ხელს მთავრენ. 3. ს-ინსპექტორო ნაწილი, სადაც ჩაწვეტ ქალღღს მიცემენ; 4., აღმო-სავლეთ-ციმბირის ზოლებების ეველა (რიცხვით—18-მდე) სთა-დარბო ბატალიონების უფროსის შტაბი, სადაც კიდევ ნაწვეტ ქ-ღაღღს მიცემენ და რომელიმე ბატალიონის მთავრენ; 5., ამ ბატ-ალიონის უფროსი, და 6. ამისი კანცელიარია. შედეგე გედირება ბარა-თავისუფლობა შესვლა, რომელიც წარმოადგენს გრძელ გვეტერ-თელა კასარმს, უვენტილიაციით, ჭუჭუითა და წვრით სავსეს, სადაც 60—80 კაცი ათვენ დამეს. და ავლილი წარმოსადგენია, რა ჰქონი და ცხოველებს იქნება შტა. აღსანიშნავია კიდევ ის, რომ ეველა ამ კანცელიარიაში—შტატებზე ქალღღა: გვერული „არა ვივარი ნსრავა“; არ შეიძლება—და შესვლა გარეშე ზირთათვის აკრძალუ-ლია. ასე საიდუმლოებით მოცულია ეს აჭურა ეველა დაწესებულება, და ამიტომ არაა გასაკვირველი, რომ ჩვენი არ ვიცით არაფერი, სად რა ხდება. საკვირველია კიდევ ის, რომ აჭურთ ბატალიონის უფრო-სები თავისებურათ ვამყოფალებენ ზონიციტებზე მაშავალ რუსეთიდან მოსულ აფიერებს. ათ შავ, მე 5 სათადარბო ბატალიონის უფროსი არ ახლევს სათადარბო ჭარადან მიწვეულ თფიერებს დღიურ ხარ-ვის (პორტადს) მანჯურაშივე 2 მან. დღეში, მანჯურას აქეთ 4 მ., რაც კანონით ერგება; მე-12 ბატალიონის უფროსი კი დღიურ ხარჯს გარეთ ახლევს „პროტონს“; და ჟამბირსაც. გაბეგო ვინაა მართალი და ვინ მტუენია. ჩანს დიდი პროტექციაა სკაბრო, რომ რაც გვეკუთვნის მიიღო. შიგ მებრძოლი ჭარში კიდევ უარსია. ბ.ბ. უფროსები, როგორც ამბობენ, რომელთა ვაღია იბრუნონ თმიში მიმავალთა მედ-იბალზედ, დიდკაცები გამხდრან და ფეხებ-ზე ჰკადაათ თქვენი გაჭირება. შავ. ირგუსეში ერთმა ჩემმა ჩანდობმა მთელი დღე ეძია კომენდანტი და ვერა ჩანს.—სადაც სავაიფოთ: წამახებულო.

**ცხიწალი.** დიდი ხნაა მოველოდით შავი რახმის მოსვლას. ვავარდა ხმა, რომ შავი რახში ევეკე დაიძრათ. დიდი მათქმა-მით-ქმა განდა გლეხებში. ეველა იმას ფაქრობდა თუ როგორ უნდა დახვედროდენ. გლეხები ფაქრობდენ: თუ ვინიგობა რამე უწესო-ბას მოახდენენ, იაფათ ნუ დაუჭენთო. ზოგი ამასაც ამბობდა, რომ შავი რახში ოსების, სომხების და ქართველების წავიღვანს ცდი-ლობით. მაგრამ მე აქ არ გამაუღვებია თუ ვინ რას ფაქრობს. მე მხოლოდ იმას ავხუსხე თუ რა მოიმოქმედეს.

20 მასის ანკეის ახლოს იკრიბებოდა აუარებელი გლე-ხობა 1000 კაცამდე შეიარაღებული თოხებით, კეტებით ხან-ფლებით და სხვა იარაღებით. უსაც რა ქინდოთ. მიხეზია ამისა იყო თავადების შავი რახში, რომელიც მოსულიყო სოფ. დენში. რახმის უმიხეზოთ გზაზე მეცხვარეებისათვის თოფები დაუშენა. მეცხვარეები სოფელში გაიქცენ და სოფელსებს შეატოებინეს, მაგრამ ამ დროს გლეხებმა გაიკეს, რომ რახმი ევეკე შემდეგ სოფელში გადაიდო. გლეხები იქ ამირებდენ გა-დასვლას და თავ დასხმას, მაგრამ შეერდენ. ამავე დღეს ერთი შავი რახმის წვერი ლუარსაზ ფავლენიშვილი რახმის ჩამოჭრებოდა, და გზაზე ერთ გლეხს შეეჭხა, რომელსაც ურმით შეშა მამქნობ-და: თავადმა დახმდვა დაუწყო, როგორ თუ შენ ჩემდა დაკეთხავათ

ჩემს ტუქში შემა მსსჭერო. ცემას უხარებდა, მაგრამ ამ დროს წამოვიყენ ოსები და თავად ახრდი წაართვის. მას შემდეგ შავი რახში (ლურჯი პანრალით დაიარება პანრალზე აწერია: „სკვდის სიღოცხლეს ნაძანას სიკვდილი სსხელდევანი“: „გუშარჯოს სკართველთს“) გუქქან თამარაშენისკენ, ნაწილი კი ქვემო ნიქაზელ თავადების შუთაურობით ჩავიდა ქვემო ნიქაზში. გზასე მათ შეეხენ ამავე სიღელის მღვდლის შვილი კანანაძე (გემნაზიელი). თავადებით წერეთელმა უეროვ შეაჩერა და შესძახა: „შენ, კი ემაწვილო! რატო ძალდახმუნ-თავს არ ახებუ? შენ არ იცი რა დღე მოგელოსო?“ ემაწვილმა თამარა უხასუნა: რას უნდა დავანებო თავით? ამ დროს თავადმა მათთან მოამარჯვა და ხუთჯერ გადაჭრა და თან ეუბნებოდა: შენ შავ წითელ ქუდას და ქადაშენის ტარებას თავი დაახებუ თხრე... ეველა ამას უეურებდა ს. კეხაჭავრის მასწავლებელი ბავრატ ლახარაძეაქილი.

ბევრჯან ევადენ სამარტხვისო რახშის წარმომადგენელი სოფელში ურადობების შეკრას და თავისი „პროგრამის“ წაკითხვას. თუ რა პროგრამა აქეთ ამ თავდაზნაურების შემრტხვერელთ, ამას შემდეგ გამოვეჩავნი რედაქციაში, დღეს კი ხელთ არა მაქვს. ის კი ვიცი, რომ პროგრამის ერთი მუხლი ამბობს: „ჩვენ უნდა დავიცუო წოდება და მამულობა“. კერძოთი მოღაწავებების დროს კი გლეხებს ეუბნებოდა: „თქვენთვის არა გეშურს მამული, თქვენ მოგცემთ რამდენი ვინდათ, მაგრამ როგორ არ გვეწინას, როცა თქვენს გარდა. ოსებიც და სომხებიც გვართმევენ. ისინი დიდა ხანა ჩვენს მტრებია; ასეა ჩვენ თავადები და გლეხები უნდა შეკერთდეთ და ჩვენს სურვით მტრები სომხები და ოსები დავამარტხოთ, თუ არა და ჩვენ ცარელები დავრჩებითა და ამითა სსქე.

5. რ.—შვილი.

ზუზუდის მარა. (წალენჯიხის საბოქაულო).

5 მარტიდან დაიწყო გლეხთა მოძრაობა ამ საბოქაულოში. ყველა საზოგადოება ჩამოეხსნა მთავრობის დაწესებულებას, დაწვეს რამოდენიმე კანცელარიის საქმეები, შეუმტარეს მღვდლებს შემოსავალი, მებატონეებს ღალი. შეწყვიტეს სწავლა ყველა სამინისტრო სკოლებში. თხოულობდნენ ქართული ენის ხმარებას, რაზედაც მოწერილობა მიიღეს დაეჭირავებით ქართული ენის მასწავლებელი საზოგადოების ხარჯით, მაგრამ მოსწავლეები და მშობლები ამით არ კმაყოფილდებიან.

დ. მუხურია. 25 მარტს, როგორც ვახუთებში იყო მოხსენებული, დანიშნული ქონდათ სოფელ მუხურში ყოილობა მთელი საზოგადოებისა, რომელზედაც უნდა შეთანხმებულიყვნ გლეხები და თავდაზნაურები. ხალხი ბოლომთ ვამოცხადდა; იყვენ აზნაურებიც, ხოლო თავად დიდიანები, ამ საზოგადოების მცხოვრებნი არ მოვიდნენ, კაცი კი გამოგზავნეს დაგვიკადონ და მოვალეთო. დიდხანს უცადეს, მაგრამ არ გამოცხადდენ, აზნაურებმა უმიმართო მიიღეს ფიცი. როდესაც ხალხი იშლებოდა დაეცა ადგილობრივი ბოქაული მრავალი დარაჯებით. ხალხში ერთი რამოდენიმე შეიარაღებული პირი, რომლებიც ჩაუსაფრდენ ბოქალს და მის დარაჯებს და გახნდა სროლა ორივე მხრით. მოკლულ იქნა ერთი დარაჯი ბოქალისა (მეგრელია) და ერთი მოწინააღმდეგეთავანი; ორიც დაიჭირეს, უცბათ იშოვნეს ურემი და მოკლული გაასვენეს. გაიყოლეს რამოდენიმე სოფელთა დარაჯი ბოქალმა და იმისმა დარაჯებმა, რათა გზაზე უშიშრათ წასულიყვენ.

ეს უმედური შემთხვევა ხალხმა დადინებს დაბარალა, რადგან არც ერთი იმითავანი კრეპას არ დაესწრო. 28 მარტს, გვეახლა ზუზუდის მარის თანამემწე სოლოროვი, და გამოგვიცხადა მუხურის, ქალის და გჯილის საზოგადოებას, რომ გასცენ დამნაშავენი, კანცელარიის საქმის დამწველნი

და ბოქაულის მოწინააღმდეგენი, (25 მარტისა), წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი სასჯელი მოგელითო და დაბრუნდა უკან. პირველ აპრილს ღამით თავის ეზოში მოკლულ იქნა უცნობ პირებისაგან თავადი პლატონ დადიანი. 4 აპრილს სოფ. მუხურში მოკლეს ვინმე ცირამუა. 8 აპრილს, მთავრობამ გამოგვიგზავნა ევხევეტია. უწინ ის შემოვიდა სოფ. ქოლაში, სადაც საეაქრო დუქნებია. გვეახლა მახრის უფროსი კვლამოვი ცხენოსანი ყაზახებით, აფიცრითა, ბოქაულით, დარაჯებით, მათი აფიცრითა და მამასახლისის თანდასწრებით. ასე იქნებოდენ 120 ცხენოსანი. დაუწყეს მოვაჭრეებს „ობისკი“ (გახჩრევა) ტებდენ ყაზახები დახლს, იტაცებდენ ფულს, მიქონდათ კალოშები, ყაბალახები და სხვ. ოქრო-ვერცხლელი რამე თუ იპოვეს ყველაფერი დაიტაცეს, პატრონი თუ რამეს იტყოდა, ცემდენ უმოწყალოთ; ერთი ღარიბი მოვაჭრის, შენგელიას დაეკრილ დუქნიდან (სხვაგან ყოფნის დროს) სულ წილეს ფართლის საქონელი. ცალიერი დუქანი დაუტოვეს საწყალს. ზარალი 700 მანემდეა. მასთან ერთ ზენკალს, გვართავოვას აღმოაჩნდა მრავალი კაციანი თოფები, ფილითები, რევოლვერები და დამბახები, რომელიც ზენკალს შესაკეთებლათ აღებული ქონდა სოფელთავან. მახრის უფროსმა ყველა იარაღები ჩამოართო და დაპატრონა თვით ზენკალი. სხვა დუქნებთან წაღებულ საქონელს ყაზახები იყრიდნენ უბეში. ჯიბეში, კისაც საათი უნახეს ააცალეს, ნაშთადღევს რომ მოვიდენ სალამოს დრომდის იქ დარჩენ, შემდეგ გაემართენ მოკლულ თავად დადიანის სახლში. იმ ღამეს გააკეთებინა მახრის უფროსმა კუბო. მეორე დილას 9 აპრილს უფროსის ბრძანებით ყაზახებმა მოუყარეს თავი ყველა ხაზუმე და მუხურის მოვაჭრეებს და მრავალ ახლო-მახლო სოფლებებს, მოკლულ დადიანის სასახლეში. ბრძანა უფროსმა ყველას ეტრით მიცვალეული ადგილობრივ ჩვეულებისამებრ. შემდეგ 11-დან 12 საათზე გაასვენეს მოკლული ეკლესიაში, სადაც მიყვებოდა მახრის უფროსი თავის ჯარით, ხოლო ხალხს უბრძანა: ქალებს ეყოლათ, კაცებს ეტრით მალაო ხმათ (ვი). ასე დასრულდა დასაფლავება. ხალხი დაიშალა, საიდანაც მახრის უფროსი თავის ჯარით გაემართა დაბა მუხურში.

9 აპრილს შუადღის ორს ან სამს საათზე შემოვიდა დაბა მუხურში მახრის უფროსი თავის ჯარით, აქ დახვდნენ კიდე ქვეითა ყაზახები პლასტუნები, იმ დღესვე მოსულნი. დაუკრეს ზორი და მიყენენ დუქნების ტება-გლეჯას, მიქონდათ ფართოფული, შალეული, აბრეშუმეული, იაშჩიკა შაქარი, პურის ფქვილი, სიმინი, უნჯრის საქონლები, თუთუნები, ჩაი, პაპროსები, წულეები, შეკერილი ტანისამოსები, ჩოხები, ახალუხები, ერთ მეუნჯიერ გვახარის სულ გაუცალეს დუქანი, წართვეს რაც ჰქონდა, ზარალი აქვს 800 მანეთადღე. მეორე მოვაჭრე ბერულავას წართვეს ათას-ორასი მანეთის ვექსილი დახლიდან; შემდეგ აფიცრმა მიიღო ზომები რომ მოემებნა, მაგრამ დაეწვით. ცემდნენ ყველას უმოწყალოთ თუ რამეს ვინმე იტყოდა. იტვირთებოდნენ ყაზახები წანართმევი საქონლით და მიჰქონდათ. როცა დუქნებში მორჩნენ, ვადვიდენ სოფლებში, ვატეხენ ორი მოსახლე თოლორდავები, რომლებმევი ჰქონდათ, ბოროტ განძარახაზე მოსაწინა ნივთები წამოიღეს, ძვირფასი აბრეშუმის საბნები, ვახის ლეიბები და ბალიშები და წაიღეს ჩითები. მოკრიბეს ყველა იარაღები, აგრეთვე შევარდნენ მარნებში, მოხადეს ქურები, სვაძდენ უზომოთ ღვინოს. უკეთუ დაინახავდნენ ქურტლებს, კოცებს, დოქებს და გულდებს ავსებდნენ ღვინოთა და მიჰქონდათ ბინაზე. დანარჩენ ღვინოან ქურტლებში მიწას ყრადნენ, აფუქებდნენ.

**პატარა სოფელ ოცინდალა.** დაბა მუხურდიდან 2 ვერსტია. აღმართი ასავალია, — მთა გორიანი, სადაც არსებობს ძველი ქვის ეკლესია. მცხოვრები 25 კომლადისა, გვარათ თოდლები და აფშილავები. აი ამ სოფელში ბზობა დღეს, დილით გათენებრისა განდა ორი აფიცრი თავის კახაკებით 70-დღე. ჯერ აღმინებები გამოადვიებულნი არ იყვნენ — იალონზე ისროლეს თოფი, იწვეო გათენება თუ არა შევარდნენ სახლებში კახაკები, ცემეს უზომოთ მამაკაცებს, სახლის პატრონებს, ნაცემ დასისხლიანებულს, კაცებს შევარდნენ და გარეთ მინდორზე ერთ ალაგას მოუყარეს თავი ყველას, ხოლო მათი ოჯახობა გადავიდა კახაკების უფლებებში, კარები ჩაკეტეს, ქალებს მიაყენეს შეურაცყოფა, ვაიტაცეს მოსაწონი ნივთულობა: ტანისამოსები ქალის და კაცების, ოქრო ვერცხლის სარტყლები, კოვები, სტაქნები და სხვ. აგრეთვე ზეწრები და საღებურები და წირვის დაწყებამდე გამობრუნდნენ უკან დატვირთულნი, თუმცა არავინ დაშნაზევი პირი იქ არ აღმოჩენილა.

მასრის უფროსმა მერე წინადადება მისცა ხალხს, რომ კანცელარია მოაწყონ, საქმის წარმოება დაიწყონ; მასთან გამოუცხადა: ბოროტ პირების დასაქერათ კახაკები და პლოსტუნები აქ დარჩებიან, ერთი თვის ხარჯი უნდა წარმოადგინოთ ნაზ მ. ხვალ დილას და კახაკებს არ ექნებათ ნება, რომ რამე წაგართანონ. პლასტუნები ერთი აფიცრით დაბინავეს ორკლასიან სამინისტრო სკოლაში. დანარჩენი ცხენოსნები 50-დღე ჩადგნენ ორი მუსახლე ცინდავების სახლში. ამით ჩააქრეს ერთობის ხმაურობა. მას აქეთ არ ისმის ერთაობის არაფერი. 11 აპრილს ბზობის მეორე დღეს დილით ჩაბარეს კახაკებს ერთი თვის ხარჯი, და ჯარი მუხურში დატოვეს; თვით უფროსი რამოდენიმე კახაკის ხლებით მეზობელ საზოგადოება ჯგაფელში გადავიდა.

**ს. ჯგაფელი.** 11 აპრილს მასრის უფროსის ბრძანებით შეიკრიბა მრავალი ხალხი სასამართლო კანცელარიაში, დიდი წვიმიანი დღე იყო და სამ ვერსტზე მიეგებენ უფროსს საზოგადოების მიერ არჩეულნი პირნი 40-დღე კაცი ფებით. უფროსმა ხალხს გამოუცხადა კანცელარიის განახლება და მოწყობა, ყოველთავე გადასახადი გადახდა (საქმის წარმოება თვეზე მეტს იყო შეჩერებული).

**მუხური.** 9 მაისს თავი მოიყარა საზოგადოებამ, ადგილობრივ მამასახლისის განკარგულებით, ეს ყრილობა დაიბარა ჯარის უფროსმა და გამოუცხადა: დღეს გათავდა ერთი თვე, და ხვალ საღამოს წარმომადგენელთა მეორე თვის ხარჯი 558 მ., რომელიც უკვე ჩაბარეს. აწი ყოველ სოფლებში ზუგდიდის მასრაში კახაკებს მოელიან.

**შინაური მიმოხილვა**

ამ უკანასკნელ დროს ბევრმა დუხტირმა გარემოებამ იზინა თავი, ბევრმა მანვე ელემენტებმა წამოაყვეს თავი. ამათში პირველი ალაგი უმეტესად თავად-აზნაურთა ვერეთ წოდებულ დრუჟინასა უჭირავს, პრესაში უკვე საკმარისათ გამოირკვა, თუ რა ბნელ ძაღს ინახავს თავის გულში ჩვენი თავად-აზნაურობა, რომ თავად-აზნაურების წინამძღოლების და ხელმძღვანელების ნებართვა არ ყოფილიყო, ისე შეუძლებელი იქნებოდა ამ სამარცხვინო დრუჟინის გამოსვლა ჩვენი დაბეჭდვებულ ცხოვრების ასპარეზზე, ხუმრობა ხომ არ არის, 500 — 700 კაცის ამხედრება, შეიარაღება და სოფელ-სოფელ ხეტიალი! სად იყვენ ის უკუდახვეწულ თავად-აზნაურნი, როცა ამ გვარს აქვს აწყობდენ და ჩვენში იმისათვის ემზადებოდენ! სად არიან ისინი დღეს, როცა დრუჟინა თავის სამარცხვინო

და საარაკო მოქმედებას არხენით განაგრძობს? მაგრამ რას ვამბობ! მთელი ეს საქმე მოუწყვიათ ისეთ პირებს, რომლებიც თავად-აზნაურობის საქმეს მეთაურობენ და განაგებენ. დრუჟინაში მილიციონერათ ეწერებთან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული პირები. აი სადამდის მიუღწევია ქართველ თავად-აზნაურობას: მის წევრებს სამარცხვინოთ არ მიანიათ ბნელ რაზმში, ხულაგანების ბრბოში, მონაწილეობის მიღება. აი სადამდის დაწვრილმანდა და სადამდის დაეცა ოცნებულ ბრწყინვალე, რაინდობით განთქმული წოდება! ჩვენ მაინც კიდევ გვგონია, ომ თავად-აზნაურობა ისე არ უნდა დაეცეს, რომ მან შავი რაზმის გარდა ვეღარსად პოვოს სამოქმედო ასპარეზი. მაგრამ ერთი ახირებული ამბავი აქაც გამოაშკარავდა. მკობველებს ეცოდინებათ, რომ დიდი ხანია ხმა დადიოდა, „დრუჟინის“ ორგანიზაციაში ბ-ნი ალ. ყიფშიძე იღებს მონაწილეობას. ჩვენ ძლიერ ვაკვივართ, რომ ბ-ნი ყიფშიძეს შეეძლო ხულიგანების ბრბოში რამე მონაწილეობის მიღება. დიდი ხნის შემდეგ ბ-ნი ყიფშიძე წერილი მოათავსა ვახ. „იერიასი“, რომელშიაც იგი უბარს ამბობს, რომ მას დრუჟინაში არაკითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ მის წერილში უფრო შენაშენა ადვილია, სახელდაზმ ის, საცა იგი გვეუბნება, რომ დრუჟინის, წესდება მას ფრიალ სიმპატიურათ და საკეთილოთ მოჩვენება! შემდეგ განაგრძობს ბ-ნი ყიფშიძე, რომ თავად-აზნაურთა რაზმის გაჩენის მიზნი ისაა, რომ თავი დაიკვან მანვე და ბოროტ კაცებსაგანო. ავტორს არც ეს აზრი ჩვენებია ქვეყნის დასალუბავათ. „ხოლო სხვა ხილი აზრს როგორ განახორციელებენ, მანვე და ბოროტ კაცთ ვის აღიარებენ (ნუ თუ ეს თქვენთვის აქამდის საიდუმლოებას შეიღვენს, ბ-ნი ყიფშიძე!) ამას მომავალი და საქმე გამოჩინეს. და თქვენსა და საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული, რა თვალით ვუყურეთ რაზმის საქციელსო“. როგორც ხედავთ ბ-ნი ყიფშიძის სრული სისპაუა რაზმისკენ არის, და თუმცა იგი რაზმში მონაწილეობის მიღებას თავის მხრით უარ ყავს, მაგრამ ეს საქმეს არსებით არა ცვლას. მისი აზრით რაზმი ფრიალ სიმპატიური და საკეთილო დაწესებულებაა; მანვე და ბოროტ კაცებისაგან თავის დაკავ ქვეყნის დაღუპვა არ არას, მხოლოთ საქმე ის არის, ვის გამოაცხადებს რაზმი მანვე და ბოროტ კაცთ და როგორ ესმის მას თავის დაცვა. რადგანაც პრესაში საკმარისათ გამოირკვა ეს საკითხი, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ბ-ნი ყიფშიძე თანაუგრძობს ყველა ამ ძალმომრეობას და სისამაღლეს, რასაც თავად-აზნაურთა დრუჟინა დღემდის ჩადიოდა. ამაში ჩვენ მათ უფრო ვრწმუნდებით, რომ ბ-ნი ყიფშიძე გვეუბნება: „მომავალი და საქმე დავგანახებო“, თუ რა სწავლია რაზმსო და როგორ ესმის მას თავი დაცვაო. თითქო დღემდის კი ეს არ გამოყდავენაულიყო! მაგრამ კმა. რა. ესეც ერთი თანამგრძობი შავი რაზმისა! სხვები კი ჯერ გაჩუმებულ არიან.

თითო შავ რაზმს დღეს ყოველგან შეხვედებით, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მისი მოქმედების ასპარეზი სხვა და სხვა ნაირია, და იარაღიც სხვა და სხვა გვარი აქვთ. შავი რაზმი მოქმედებს დღეს ქალაქის ქუჩებში, მოქმედებს იგი, როგორც დაფინახეთ, სოფლებშიაც. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ შავი რაზმი მართო ქუჩებში და სოფელ-სოფელ დაძწოდნენ და თარეზობდენ. შავი რაზმის წარმომადგენელები სახელ განთქმულ ბიუროკრატიულ დაწესებულებაშიაც ბუდობენ. ჯერ ბიუროკრატია რა არის ხალხისთვის და მერე მათი დაბანაკებული შავი რაზმი რაღა უნდა იყოს! ამ შავი რაზმის წარმომადგენელები შეიარაღებული არიან არა თოფ-ზარბაზნებით და ხმალ-ხანჯლით, არამედ რაღაც წერილობითი საბუთებით,

სტატისტიკური ცნობებით, რომლებიც სინამდვილესაგან ისე არიან დაშორებული, როგორც ცა დედამიწისაგან. და აი ასეთი საბუთებით და „ცნობებით“ შეიარაღებული, ისინი წყვეტენ ხალხის ბედს, აკანონებენ ასეთ ყალბს საფუძველზე დაწყურებულ მოსაზრებათ და შემდეგ იმათ ხალხს თავზე აჩეჩებენ. ამას წინეთ ადგილობრივ ოურობიულ საზოგადოებაში ვეჭილმა გრუხენბერგმა რევერენტი წაიკითხა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების თაობაზე აზიერ-კავკასიაში. ჩვენ აქ არ გვინტერესებს ის, თუ რით ასაბუთებდა ბ. გრუხენბერგი ამ დაწესებულების შემოღებას ჩვენში. ვიტყვი მხოლოდ, რომ დღეს, როცა ხალხის წარმომადგენელზე, დამფუძნებელ კრებაზე და სხვ. ამისთანებზე კითხვა დაყენებულა, როცა ხალხი ვადკირთ თხოულობს მონაწილეობის მიღებას ქვეყნის საქმეების მართვა გამგეობაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება შედარებით მეტათ მცირე შემთხვევაა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ შავი რაზმის წარმოადგენელბა ასეთ დროს ესეც კი იუცხოვეს და ამ დაწესებულების შემოღების წინააღმდეგაც კი გაილაშქრეს. საზოგადოებაში აღმოჩნდა სხვათა შორის ვინმე ჩინოვნიკი კოლილევიკი, რომელიც მერისმეტო გაფართობით აზიერდა ნაფიც მსაჯულთა შემოღების წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი ხალხი არ არის მომზადებული, რომ მას მიენიჭოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომ ამ ხალხისთვის ჯერ საჭიროა ბიუროკრატის მუხრეკა, თორემ იგი თავს იიშვერს და საზოგადოება განსაცდელში ჩაიარდებო. ეს ღირსეული ჩინოვნიკი თავის აზრის დასამტკიცებლათ ამოწმებდა სხვათა შორის, ისეთ პირებს, რომლებიც ამ ორმოცი წლის წინეთ ცხოვრობდენ, და რომლებიც მაშინდელ პირობებსაც ვერ იცნობდენ. თუ რამდენათ სარწმუნოა ასეთი პირების მოწმობა, ეს ყველასათვის აშკარაა; მაგრამ ჩინოვნიკური მსჯელობისათვის ეს საკმარისია. ამა ახლა ერთი ხალხს კითხონ, არის თუ არა იგი მომზადებული, რომ თავის თავს თითონ მოუაროს. ჩინოვნიკებს ხალხი ჯერ უწულოვანი გონია და ფიქრობს მისი მოგლა ბიუროკრატია უნდა ქონდეს ჩაბარებული. მაგრამ ეს დრო სამუდამოთ გაქრა. ბიუროკრატია, რაც უნდა ეცადოს, ვეღარ დაიბრუნებს იმას, რაც წინეთ მის ხელში იყო. დროა გაიგონ, რომ ხალხი თითონ დაინტერესება თავის თავს და მაშინ მშვიდობით, ბიუროკრატია სამუდამოთ დაიმარხება. შეიძლება დღეს მარტო ბიუროკრატისათვის იყოს საიდუმლო, რომ ჩვენმა ხალხმა ნაფიც მსაჯულთა დედააზრის განხორციელებას ცხოვრებაში უკვე დადგა, და დი:ი ხანი არ გავა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ისე, როგორც მთელი მისი ცხოვრების განახლება დემოკრატიულ ნიადაგზე, სავსებით განხორციელდება.

ეს მიმოხილვა ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრებების დახასიათებით მოითხოვდა დამემთავრებია. კაი ხანია ემზადებოდა ხსენებული სამღვდლოება კრების მოხდენას. დღევანდელმა ცხოვრებამ მასაც უღომბელი კითხვები დაუყენა წინ გაიასაწყვეტათ: საქმე მის არსებობაზე მივიდა, და როგორც მოგეხსენებათ, ძნელია, როცა კაცი თავის აღსასრულის მოახლოვებას გრძნობს. სათანადო მთავრობამ, როგორც იქნა, ნება დართო კრების მოხდენაზე. მღვდლები შეიკრიბნენ სემინარიის შენობაში, რამდენიმე სხდომა გამართეს კიდევ, მაგრამ ამას აღარ შეეცხებოთ, რადვანაც ეს ჩვენთვის შეუძლებელიც არის ყველასგან კარგათ ცნობილ მიზეზების გამო; ვიტყვი მხოლოდ, მღვდლების უკანასკნელი სხდომა რაღაც არა ჩვეულებრივი ყოფილა. სხდომაზე პოლიციელებს რამდენიმე კაცი შეუპყრია! სემინარიიდან გამოსვლის დროს, კრების დახურვის

შემდეგ, საღამოს 9—11 საათზე, სემინარიის წინ, რაღაც ჩანაჩუხი, მთორახების ლაწუნნი, უწმაწური ლანძღვა-თრევა გაისმოდა და მღვდლების ანაფორები და შლიაპები ქუჩას ეუზნებოდა. ეს იყო თურმე საზარელი სცენა ბნელ ღამეში, რაღაც შავი არსებანი მიწაზე ეცემოდენ, ღებოდენ და საღლაც გარბოდენ. ყველაფერი ეს საიდუმლოებით არის მოცული, და ჯერ არავინ იცის, რა იყო, რა მოხდა. როგორც გზათებში გამოცხადებულიყო, მეორე დღეს სამღვდლოების უმრავლესობა თფილისიდან გაქცეულა, დანარჩენი ნაწილი წარსდგომა კავკასიის ნამესტნიკს და ბეტრბურგშიაც გაუგზავნიდა რაიმე ცნობა თავიანთ უბედურ შემთხვევის გამო.

## რუსეთის ქრონიკა

გაზ. ესმარგანდმა დაბეჭდალა შექვევა წერილი რედაქციის მიმართ: „მოწვე. ხელმწ. ბატონო რედაქტორო! ბაქოს უფოელმა ქალაქის თავმა, ბ. ი. ნოვაკოვმა გამოცხადებულა ჰეტერორედიან ბაქოში წერილი, რომელსაც ვერცელებენ აჭურ მხრეაურთა შორის. ეს წერილი თქვენ ჰეტერეკუმდე გასეთაიან დაბეჭდა, და შემდეგ სხვა გასეთემაზე გადაბეჭდეს. წერილში ასწერს იგი ბაქოს გუბერნატორის თავ. ნავაშის უმრქმელობას და განზრახულ დაუდგურბას ბაქოში მომხდარ ქუჩის დროს და ათავებს თავის მხედებას შექვევა სიტუეეით: ნავაშის თანამაზრეებს ბაქოს და ბალახანის ზოლიგმესტრებს, დეიანისის და ხოლოციკის და ჰრისტავს ბოროდინს შერცხვათ თავისი უმრქმელობის და სისუსურს თავი დაახებეს. ჩემის აზრით, ბ-ნი ნოვაკოვმა არ იცოდა მიზეზი ჩემი სისუსურის თავის დახებების და ფაქტობდა, რომ მე ჩემი ნებით შევატოვე თანამედობა. ამიტომ უნებლიეთ ცილი დაწმინა მე, და ნავაშის თანამაზრე მიწოდეს. ეს მე შეუარცხეთათ მიმანხა და უმორჩაღესათ ვთხოვე, ბატონო რედაქტორო; უმხედობედეს ჩემთვის მთავისათ ჩემი ჩვენება, რომელიც მე ჰრეკურბის წინაშე ვადარე გამოცხადებთ დროს, და რომელსაც ამ წერილთან ერთათ გეცხავნი. ვარდა ამის ცანცებებ თქვენ, რომ ჩემი მოქმედება, შემოსისქებულ ჩვენებაში აღწერილი, იცის მრავალმა პირმა, რომელთაც თავისი თვლით დაინახეს ყველაფერი და, თუ სჯობთ იქნება დაამოწმებენ კიდევ ჩემ სიტუეებს. სწორეთ ასეთი ჩვენების მიდგომისათვის დამთხოვა მე გუბერნატორმა სისუსურადან, ვათომდეგ ჩემი ნებით, ავათოფობის გამო.

ამ უკანასკნელმა კარკომებამ შეიქვანა შედგომაში ბ-ნი ნოვაკოვ და ამიტომ, მე ამუდი მიქ, რომ ამ წერილის და ჩემი ჩვენების გამოქვეყნებით თქვენი ჰეტერეკუმული გასეთის ფურცლებზე, შექვედეგ დაგარწმუნო ბ-ნი ნოვაკოვა და სხვები, რომ ის ჩირქი, რომელიც მე მომეცსო—რედაქცე უსმართლო იყო, რადვან გუბერნატორ ნავაშისთან სოლიდარობა მე არ მიქონია. ოტსტავნი. ნავე. სოვეტნი. **პ.ბოროდინი.**—ბ-ნი ბოროდინის მიერ წარდგენილი ჩვენება სჯენსურე წესდების მე-81 მუსლის ძალით „სმარკანდის“ რედაქციას ვერ გამოქვეყნებია.

— გვირას, 22 მარტს, ჰავლოვის ვოცხალზე, სადგ ჩვეულებრივით სიმფონიური ორკესტრი უკრავს, დიდძალმა ხალხმა შეიკრათ თავი, დაახლოებით 3,000 კანმა. უმეტესობა ინტელიგენტები იყვენ. დაიწყო თუ არა დაკვრა ორკესტრმა, ვადგ უნობმა პირმა მამართა ხალხს სიტუეათ. მან თქვა, რომ ახლა, რადესაც ჩვენი ძმები იღუპებიან და რუსეთი სისხლისაგან იცდება, არ არის დრო მუსიკათ ვსტებოდეთო. ხალხი გულ დასმით უსმენდა ორატორს. გაისმა უგარალი „ძირს ომია“. ორკესტრი ძალაუხერათ განქრდა და სხვა ადგილას გადავიდა, მაგრამ იქვე არ დასებენ დაკვრას და კიდევ ჩაჩუქეს მუსიკა. მოვიდა კერეთ წოდებული

„შავი რახში“, რომელსაც დემონსტრანტების დაშლა უნდად. ვი-  
 ლან ინჟინერმა მსურველ სიტყვით მიმართა მათ: „შავი რახში“  
 გულმოდგინეთ მოისმინა სიტყვა და ჩემთან, ხმა ამოუღებელი და-  
 შალა. მოვიდა ზოლიცა და ურნა ხალხს დაშლილიყენ. ხალხმა  
 ეს წინადადება არ მიიღო. კომიწვიეს მსროლელთა რახში. რახში  
 ჩამწკრივდა; შირა არაფერი ღონის ძიება არ უხმარა. დაჭირეს  
 რამდენიმე კაცი, სხვათა შორის ა. ი. ნოვიკოვი.

(მ. ვ. ა.)

— კაზ. მისკოვსკაია ნედელაა-ს შერე ნომერე დაუქ-  
 რია ცენზორის ისე, როგორც ზარეკლი.

— როგორც ისმის შინაგან საქმეთა მინისტრთა ბუღიგინი  
 სამსახურის თავს ანებებს.

— პეტერბურგის ქალაქის საბჭომ 23 მაისის სხდომაზე გა-  
 დასწვევითა შეამდგომიდა შეიტახნის მინისტრთა საბჭოში, რათა  
 დაუფინანსებდეს მოაწვიონ ხალხის წარმომადგენლები.

— ინჟინერთა კავშირის წევრებმა 20 მაისის განცხადება გა-  
 უცხადეს შინაგან საქმეთა მინისტრს შესახებ 8 ინჟინერის განხრე-  
 კისა. განცხადებაზე 20 კაცს აქვს ხელი მოწერილი. ხელის მოწე-  
 რას განაგრძობენ.

— 23 მაისს შესდგა ჟურნალისტების საზოგადო კრება.  
 კრებამ დიდი ხნის კამათის შემდეგ დაადგინა: ომის დაუფინანსებელი  
 შეწყვეტა, ბიუროკრატული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და დაუ-  
 ფინანსებელი მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა. შემდეგ კრება ამ  
 აზრს დაადგა, რომ საჭიროა ისეთი-ამწიკობითან შეერთება, რათა  
 განახორციელონ უქმე დღეებზე დასვენება.

— „კავშირთა კავშირში“ ამ ყაშთ შემდეგი კავშირები იღე-  
 ბენ მინაწილები: 1) რეინის გზის, 2) ექიმთა, 3) სერობო  
 კონსტრუქციონალისტების, 4) ქალთა თანასწორობის, 5) ინჟინ-  
 რების, 6) აკადემიურთა, 7) ვექილებისა, 8) კონტრაშეიკებისა, 9)  
 სახალხო სკოლების მასწავლებლებისა, 10) საშუალო სასწავლებლე-  
 ბის მასწავლებელთა, 11) ფარმაცევტებისა, 12) ებრაელთა, 13)  
 ჟურნალისტების, 14) აგრონომების და სტატისტიკოსებისა და  
 15) ბიოლოგებისა.

— მინისტრების ზარეკისხდომა ბუღიგინის ბრძოქტის განსა-  
 ხილველათ მოხდება 10 აგნისამდე. სხდომის თავმჯდომარეთ იქნე-  
 ბა შეეე არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—გრაფ სოლსკო.

ბრძოქტის განსახილველათ მინისტრთა საბჭოს წევრებთან დანი-  
 შნული არიან: დიდი მთავარი ალექსანდრე მისეილისძე, კანონთა  
 დეპარტამენტის თავმჯდომარე სტატისტიკოსი ფრანკო, მინი-  
 სტრთა კომიტეტის თავმჯდომარე—გარტი, სმხედრო, იუსტიციის,  
 კანთალების და კარის მინისტრები, უწმინდესი სინოდის იმერ-  
 ზროკურონი ზობილანისკევი, სახელმწიფო სერეტარი იქსუელი  
 ფინ-გიდელენანტი, სახელმწიფო კონტრლეერი ღობეკო და მინი-  
 სტრთა კომიტეტის საქმიეის მმართველი ნოლდე.

— ნოვოჩერკასკში სამოსამართლო ზალატამ გააჩნია საქმე როს-  
 ტოველი ჟურნალისტის ვორობიევისა, რომელსაც ბრალდებოდა სო-  
 ციალ-დემოკრატული პარტიის მოწოდების შედგენა. ვორობიევის  
 უარი არ უთქვამს მოწოდების შედგენაზე. ზალატამ გაამართლა  
 ბრალდებელი, რომელსაც ხარკოველი ნათიცი ვექილი—ალექსანდრე-  
 ვე იტყვდა.

— ამ ბოლო დროს რუსეთმა განახლდა პარტიის ბანკებთან მო-  
 ლაპარაკება შესახებ სესხის, რომელიც, ამას წინათ არ მოხერხდა.  
 ის იყო, საქმე კარგათ უნდა დაბლოკებულიყო, რომ ცუსამას  
 ბრძოლას რუსეთის მთელი ფლოტი არ გაეჩაგრებოდა. მოლაპარაკება  
 მაშინვე შეწყდა, რადგან მეკობრეობა ფრანკებმა უარი განაცხადეს სე-  
 ხის განებაზე. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც

ამ აზრისაა, რომ ახლანდელ პარტიებში რუსეთისთვის ფულის სე-  
 ხება სიკეთეს ნიშნავს. სულ სხვაა, თუ რომ სხვა ჩამოვარდება.  
 მაშინ სესხი დაუფინანსებელი შეიქმნება რუსეთში.

ქ. რიგის ერთ-ერთ თუჯის ზავოდში პოლიციამ აღმოა-  
 ჩინა მთელი ქარხანა ასაფეთქებელ ყუმბარების; დაიჭირეს  
 რამდენიმე კაცი, რომელნიც ეკუთვნიან ადგილობრივ სოციალ-  
 დემოკრატების „მებრძოლ ორგანიზაციას“. შეპყრობის  
 დროს ზოგიერთმა დაქვრილთაგანმა იარაღით წინააღმდეგობა  
 გასწიეს. მოკვლით არავინ მოუკლავთ. ფიქრობენ, რომ რი-  
 გაში კიდევ უნდა იყოს ადგილები, სადაც ყუმბარებს ამხადე-  
 ბენ. გარდა ყუმბარებისა იპოვეს სხვა-და-სხვა ყალბის რე-  
 ვოლვერები, ფინური დანები და სხვა იარაღი.

რიგაშივე აღმოაჩინეს ცოტა ხნის შემდეგ საიღუმლო  
 სტამბა.

— მკითხველებმა, ალბათ, იციან, რომ პეტერბურგში  
 დაარსდა ეგრეთ წოდებული „პატრიოტული ლიგა“, რომელ-  
 საც აზრათ აქვს ყოველი ღონისძიება იხმაროს დღევანდელი  
 მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ლიგის განყოფილება არსებობს  
 მოსკოვში. ამას წინათ მოსკოველ „პატრიოტებს“ ვრცელი  
 წერილი წარუდგენია შინაგან საქმეთა სამინისტროში. „პა-  
 ტრიოტები“ იმ აზრს ადგენან, რომ დღევანდელ მოძრაობის  
 ჩასახრობათ მოავრობამ რაც „იქილება სასტიკი ზომები უნ-  
 და იხმაროს „კრამოლნიკების“ წინააღმდეგ, გაასამართლონ სა-  
 მხედრო წესებით იგინი. „პატრიოტების“ წერილი თავდება  
 ვებებერთელა სიით, რომელშიც ჩამოთვლილია 3000 „კრა-  
 მოლნიკის“ სახელი და გვარი.

ასეთ სანაქებო „ლიგაში“ მრავალი გავლენიანი და ბე-  
 ნოვანი პირები ირიცხებიან თურმე წევრებათ.

— საზღვარ გარეთის ბირჟა თურმე უფრო მკოდნე ყოფი-  
 ლა ჩვენი შინაური საქმიებისა, ვინემ ზოგიერთი უცნობი პა-  
 რი, რომელთაც კარგა დიდი გავლენა აქვთ რუსეთის შინაური  
 პოლიტიკაზე. მოხდება თუ არა რუსეთში ისეთი რამე, რაც  
 რეფორმების იმედს იძლევა, მაშინვე აიწვეს ხოლმე საზღვარ  
 გარეთის ბირჟა; პირიქით, რეაქცია და რეფორმების სამერმი-  
 სოთ გადადება შესამჩნევათ აღონებს ჩვენს მოვალეებს. ეს  
 შეფერიათ გამოარკვა, როცა ტრეოვის ახალი თანამდებობა  
 დაუნეშნეს რუსეთში. მთავრობის ასეთმა საქციელმა ზევრათ  
 უფრო დასწია საზღვარ გარეთის ბირჟა, ვინემ ბალტიის ეს-  
 კადრის დაღუპვამ. როდესაც უცხოელებმა დაახლოვებით გე-  
 იცნეს ჩვენი შინაური საქმიები და დაინახეს, რომ რუსეთის  
 გამარჯვება სრულიად უსაფუძვლო ოცნებაა, რადგანაც გა-  
 ხრწნილი და უკვე დამარცხებული სახელმწიფო ვერავითარი  
 ძალას ვერ შექმნის მტერთან საბრძოლველათ, თითქოს გამო-  
 ფხიზლდენ და თვალები დაახილეს. უცხოელებმა თავი დაანე-  
 ბეს უფლებით აღუტრვილთა თავიანის ცუძის. ბიუროკრატია  
 და ხალხი, ერთმანეთს დაშორეს.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი. (რვა საათის სამუშაო დღე).

ამ ყაშათ საფრანგეთში გაფაციკებული აგიტაცია სწარ-  
 მოებს 8 საათის სამუშაო დღის მოპოებისათვის. მეტათ სინ-  
 ტურესოთ ეს აგიტაცია, ოადგან იგი სრულებით თავისებურია  
 და არა გავს ჩვეულებრივ აგიტაციებს, ჯერ ერთი რომ 8  
 საათის სამუშაო დღის დასაყარებლათ მუშები გაფიცვებს და  
 მექარხნებთან შეთანხმებას როდი მიმართავენ: საფრანგეთის  
 მუშათა ზინდიკატებს გადაუწყვეტიათ აგიტაციის საშუალებით  
 მოამზადონ საფრანგეთის პროლეტარიატი, რათა უკანასკნელმა

ძალით, თავის ნებით გაიტანას „8 საათის“ დამყარების საქმე; დანიშნულ დღიდან ყველა მუშა მიატოვებს ქარხანას თუ ზავოდს 8 საათის მუშაობის შემდეგ და არამც და არამც არ იპუშვებიან მეთქ. მერე როგორს, რა სახის აგიტაციას მიმართან საფრანგეთის მუშათა სინდიკატებმა ამ მიზნის გასახორციელებლათ?

პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიაში პირველი არ არის ასე ძალათ თავისი მოთხოვნის გაყვანა. სწორეთ ამ ნაიხრივე წესით დამყარეს 8 საათის სამუშაო დღე ამერიკელმა მუშებმა 1886 წ. ამისათვის საჭირო აგიტაცია იქ 1883 წ., დიწყო, ეს აგიტაცია მდგომარეობდა იმაში, რომ ყველგან სადაც კი მუშა მისწევდებოდა: რუინის ვუბე ზე, კაფეებში თეატრებში, წიგნებში, როკელთაც მუშები კიდულობდენ მოთავსებული იყო სხვად სხვა ფერების განცხადებები, რომლებიც შეიცავდენ მოკლე-მოკლე ფორმულებს. ეს ფორმულები მოაგონებდენ მუშებს, რომ მათ დანიშნულ დღიდან 8 საათზე მეტი არ უნდა ემუშავნათ და უხსნიდენ 8 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობას. სწორეთ ამ ნაირი აგიტაციისათვის მიუპარათავს დდეს საფრანგეთის კონფედერაციას. ყველა კორპორატიულ გაზეთებში დანიხავთ ახლა სტატიებს შორის ჩამატებულ განცხადებებს და მოწოდებებს, რომელნიც მოკლეთ მკაფიოთ და მძუავრათ გამოხატავენ 8 საათის სამუშაო დღის საარგებლობას. მაღაზიებში, ტრამვაის ვაგონებზე, სახლების კედლებზე, მატარებლების ვაგონებში ვაკრულია აფიშები, რომლებზედაც თავისებური წარწერები იაყრობს ყურადღებას:

— 8 საათის მუშაობა—მეტ დასვენებას და მეტ ჯანმრთელობას ნიშნავს.

— 8 საათზე მეტი მუშაობა—ეს შენი სამუშაო ქირის შემცირებას ნიშნავს? და სხვ.

**ქველი ხელ-ნაწირი პამპულების შესახებ.**

**ციხე ფრიალო.** 21 მასი 1905 წლის ქრის. დაბადებამდე. უკვე მეგრდომილესათ მოვასხენებ თქვენს უპამპულაციონას, რომ ერთი ჩენი მხვერავ რაზმთაგანი შევიდა სოფელ ქვემო ფრიალოში. ხალხი ალტაცებოთა და აუქმის“ ძახილით მიეგება. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. მილიციონერმა პამპულ მათრაბამქ შენიშნა ერთი წითელ ქუდიანი მტრის „ჯაშუში“ და ხელში ჩაიგდო ის. გამოდების შემდეგ ტუსალი გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდა აღმოჩნდა. წითელი ქუდის ტარებისათვის „სამხედრო სამართლით“ ხუთი მათრაბი გადაუწყვიტეს, რაც იმავე მილიციონერმა მათრაბამქ ჩინებულათ შეასრულა. მოვაქცევ რა ფერხთა ქვეშე თქვენსა დამცირებულსა გრძნობასა ჩემსა, უკვე მეგრდომილესათ მოვასხენებთ ყოველივე ზემო აღნიშნულს და ვკადნიერდებო გთხოვო განსაკუთრებული მოწყალეობა სახელგანი მილიციონერის პამპულ მათრაბისათვის. რაზმის უფროსი **ტირანელი.**

ესიამოვნებით წაიკითხეთ.  
მთავარ-სარდალი **ვეშაპაძე.**

**სოფ. ლულა.** პამპულათა სადგომი.  
დრუჟინის კომიტეტს 17 მასის მოუყვანეს ორი მტრის მხვერავი, რომელნიც ხელში ჩაუვარდნენ ჩასაფრებულ პამპულ—მილიციონერებს ესაული კატიშვილის მეთაურობით. ურმის გაჩხრეკის დროს, ტყვეებს არავითარი სურსათი არ აღმოაჩნდათ, რამაც ძლიერ დააღონა მილიციონერები. რაზმის უფროსმა ვეშაპაძემ თითონ ჩამოართვა ჩვენება. მხვერავებს თავი მაგრა ეკირათ, რამაც ძლიერ ააღელვა პამპულების

უმრავლესობა. განსაკუთრებულ სიფიცხეს სარდლის თანაშემწე პამპულ ტირანელი იჩენდა. ვითარცა სვავი გაუშაძარი, იგი სისხლს მოითხოვდა. მთავარ სარდალმა ვეშაპაძემ სხვა და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ-სტრატეგიული მოსახრებით საქიროთა სცნო ტყვეების განთავისუფლება. პამპულების მილიცია წინააღმდეგი იყო ამისი და დავისუბებითა ემუქრებოდა ბელადს. ტყვეები განთავისუფლეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მეორე დღეს კორდიანში გამოცხადდენ.

**სოფ. წაკატური.** გლეხის ბიჭ-ბუკები პამპულათა მუქარის მიუხედავათ, მუდამ ასე მღერაინ:

„პამპულები შეიკმაზენ თოფითა და ჯინჯილითა, უნდათ ჩენი გლეხ-კაცობა ამოხოცონ შიმშილითა. ეს რო გლეხებმა გაიგეს გადაბრუნდენ სიცილითა. კოქლ ცხენებზე შებარგულან დაღიან ასკინკილითა, ბაღლები დასდენენიან და კვდებიან სიცილითა. რაღა სიმღერისთვის სცხელათ, კუქი ეწვიო შიმშილითა დღეს ერთ თავადს დაარბევენ, სხვასთან მივლენ ხვალ დილითა.“

პამპულების მილიცია მოკმაზულა ჯინჯილითა გლეხ-კაცები უყურებენ და კვდებიან სიცილითა.

**სოფ. კუკუბეთი.** რალის სააგენტო.

თუ უკანასკნელ ცნობებს დაუჯერებთ, პამპულათა ბანაკში დიდი ცვლილებების მოხდენას აპირებენ. სახელდობრ: მთელი ბრბო უნდა გაიყოს ხუთ რაზმით, პირველი დასუულია, ასის თავი ტირანელის მეთაურობით, ფრიალოს ციხეს გაამაგრებს; მეორე სტუდენტ-კაპიტნის დავით კატიშვილის უფროსობით დაიქერს პოზიციას სოფ. თამარ-ციხის მიდამოებში; მესამე „ასეული“ სტუდენტ—როტმისტრის ილო კატიშვილის წინამძღოლობით ზემოქედის მიდამოებში ჩადგება და იქიდან გადაღმეთის მოხალისეთა რაზმთან (ასეთი რაზმი არსდება პამპულათა ბელადის აზრით) იქონიებს დამოკიდებულებას.

დანარჩენი ორი რაზმი რომელ ადგილებში იმოქმედებს, ან ვისი მეთაურობით ჯერ საიდუქლოებას, შეადგენს. მთავარ სარდალს ვეშაპაძეს იმედი აქვს 140,000 თავიანი მხედრობა შეადგინოს და როცა ამას სისრულეში მოიყვანს უთუოთ მოქმედების ასპარეზს გააფართოვებს.

**სოფ. ციხის-კული.** ხმება ვითომც პამპულათა რაზმს სურსათი შემოკლებოდეს. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სამი ასეული პამპულებისა სოფელ ფარებს დაეცა, მაგრამ უკუმდებელ იქნაო. სამას მშვიერი პამპულას მასპინძლობა ცხადია ხელს არავის არ მისცემდა და ამიტომაც მშვიერი რაზმი უკანვე დაბრუნდა. ხალხმა „გლოვის ზარით“ მიიღო და გამოაცოლა „დრუჟინა“.

**სოფ. კოტორანთ-კარი.** ადგილობრივ ყურნალ-გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდება შესახებ პამპულათა რაზმის წინამძღოლის ვეშაპაძისა.

ამ საგანზე გაზეთი „კრივი“ სწერს: „მილიციის მთავარ-სარდალი ვეშაპაძე, ჯერ სულ ახალგაზრდა კაცია. პირველ დაწყებითი სწავლა ქ. მწ-ის გემნაზიაში მიიღო. გემნაზიის გათავების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა. მოსკოვიდან იურიფეს უნივერსიტეტში გადაიარა და იქ დაასრულა უმაღლესი სწავლა. როგორც მოსკოვში, ისე დორპატში განთქმული „მოკრივის“ სახელი ქონდა მოხვეჭილი. გაზეთი „მუსტი“-ს კორესპონდენტი ამავე საგანზე

წერს: „ბატონი ვენაბაძე ჩემი ამხანაგი იყო. თუმცა დიდი ხანია აღარ მინახავს, მაგრამ იმისი სახე ვხლავ თვალწინ მიდგას. დღესავით მახსოვს, თუ როგორ ერთი მუშტის დაკვირვით წყვეტდა ხოლმე ყოველ გვარ საკამათო კითხვას. აი ვთქვათ სტუდენტების წრეს კრება აქვს. გამოთქვა ვენაბაძემ თავისი აზრი და თანაც ძლევით მოსილებით გადახელა ყველას. აღამიანი საზოგადოებრივ მოყვარეა და ვთქვათ ვინმემ გახედა საკუთარი აზრის გამოთქმა. გაბრაზებული ვენაბაძე მძლავრი მოქნივით პირქვე დასცემს მოპირდაპირეს და გამარჯვებული თავის ადგილზე ჯდება. ვენაბაძე ნამდვილი გერაკულესია და გონებრივი სისუსტის მიუხედავად ჩინებულ ხელმძღვანელობას გაუწევს პამპულების რაზმს“.

დასასრულ ყოველ კვირულ ჟურნალ „გლეჯაში“ მოთხრობლია საინტერესო ამბავი ვენაბაძის ძაღლის შესახებ. ძაღლი, რომელიც რომ მცველთ ყოლია მას, ახირებული ახონებისა და ზნის ქმნილება ყოფილა. ისეთი ხელოვნური აღზრდა მიეცა ბატონს ერაგული ყარაულისათვის, რომ ის არავითარ „მეფელს“ ახლო არ აკარებდა ვენაბაძეს. ხსენებული ძაღლის გულადობა და ოინები აქიდან უნდა გასინჯოთ, რომ პრისთავება და ყოველივე პოლიციელები შიშსა ქვეშე ყავდა თურმე“.

ანტი-პამპულა.

საზრანგეთის ისტორია მცხრამამბე საშაშნეში.

(შემდეგი \*)

1 მარტს გაიხსნა ლუქსენბურგის კომისია მუშათა კორპორაციების 150 წარმომადგენელთა თანადასწრებით. თავმჯდომარე ლუი ბლანმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „გამოკვლევა დაწვრილებით, გულმტკიცებლობით ყველა იმ კითხვების, რომელნიც ეხებიან თქვენი მჯდომარეობის მორალურ და ნიუთიერ გაუმჯობესებას, გამონახული საშუალებების კანონ-პროექტით გადაქცევა და შემდეგ დროებითი მთავრობის დადასტურებისა, მათი საერო კრებისთვის წარდგენა აი მიზანი კომისიისა“. დღევანდებმა პირველათ სამუშაო დღეს შემოკლება მოითხოვეს, რის გადასაწყვეტათ ლუი ბლანმა პატრონები მოიწვია. ზოგი ამათვანი გამოცხადდენ და უფრო შიშით ერთი საათით შემოკლებაზე დათანხმდენ. ამან ვერ დააკმაყოფილა ვერც მუშები და ვერც პატრონები. უკანასკნელნი არ ასრულებდენ კომისიის დეკრეტს და თხოულობდენ კანონსა (ე. ი. შრომის თავისუფლების) ასრულებას. ლუი ბლანმა მიმართა მათ პროკლამაციით: „ბატრონებო, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენი უძლიერესი ინტერესია დღეს დათმობთ შეძლებისდა გვართ ყველა ის, რაც სამართლიანია; ამ გვართ შეიძლება დამყარდეს წყვიერება და უშიშროება. და თქვენც, მუშებო, ნუ დაივიწყებთ, რომ თუ შეუძლებელს მოითხოვთ, თქვენ თავს დიდს ზარალს მიაყენებთ. გახსოვდეთ, რომ ამით თქვენსავე საქმეს წაართმევთ იმ დიდებულების ხასიათს, რომელიც თქვენმა ზომიერებებმ მას მისცა“.

17 მარტს მან ასე მიმართა კომისიაში მუშათა დღევანდებ: „ნუ დაივიწყებთ, რომ მე თქვენ გელაპარაკებით არა როგორც წარმომადგენელთ მხოლოდ ერთი წრის გინდ კლასის, არა, პროგრესი ჩემთვის არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ის ყველას სასარგებლოა, ყველას გამოუკლებლივ. ჩემი აზრით პროგრესი არის ყველა ინტერესის ცნობილი და განხორციელებული შეთანხმება (სოლიდარიტე).—იციოთ რატომ სამკვიდრო-სასიკოცხოო ომი გამოუცხადე განუთქილებლის

პრინციპს? ეს არა მარტო იმიტომ, რომ ძლიერ ხშირათ ეს ქმნის მუშების უბედურებას, არამედ იმიტომ რომ ის ძლიერ ხშირათ ქმნის პატრონის უბედურებას“. სამი აპრილის სიტყვაში მან გაიმეორა თავისი: „შრომის ორგანიზაციის“ პლანი, რითაც პროლეტარიატი უნდა განთავისუფლებულიყო პატრონის ბატონობისაგან. რა ნაირათ შეიძლება ამის მიხწყევა. ორი მისის სიტყვაში ამაზე ასეთ პასუხს იძლევა; „ჩვენ გვსურს თავისუფლება მშვიდობიანობით. გამარჯვება გონების განვითარებით, ზომიერების გამეფება იდეურის საშუალებით, თავისუფლება წესიერებით და სიყვარულით“.

აი რანაირ ლექციებს უკითხავდა მშვიერ ხალხს პროლეტარიატის წარმომადგენელი ლუი-ბლანი. ამასთანავე ის შეუდგა წვრილმანი რეფორმების შემოღებას; დააარსა მკერვალთა ასოციაცია, რომელსაც მთავრობის „მოძრავი მელიციის“ ფორმის ტანისამოსის შეკერვა შეუკვეთა. გამართა სხვა ასეთი კოოპერაციული დაწესებულებები, აკვეთა სატუსალოში მუშაობა და სხ.

ასე ეხადებოდენ ლუქსენბურგის მუშები შომავალ რეაქციასთან საბრძოლველათ!

პროლეტარიატის მეორე წარმომადგენელი ბლანკი და ბლანკისტები ერთიანათ ეწინააღმდეგებოდენ ლუი ბლანის შეხედულებას. ხოლო ისინი იყვენ გადაქროლნი მტერნი კლასთა თანამშრომლობის და ლამობდენ დროებით მთავრობიდან ზომიერთა გამოგდებას. მაგრამ რადგანაც ისინი პროლეტარიატს, როგორც კლასს, არ ენდობოდენ, ამიტომ ამ მიზანს თავისთვის საიდუმლოთ ინახავდენ, საჯაროთ არ ქადაგებდენ და პარტიას არ ადგენდენ. მათ სურდათ სხვა უფრო წვრილმან კითხვებით პროლეტარიატის აღვლება, საბჭოს წინააღმდეგ გალაშქრება, იქ უცებ ხალხის სათავეში ჩადგომა და მთავრობაზე იერიშით მისვლა. პროლეტარიატმა წინდაწინ არასოდეს არ იცოდა ბლანკისტთა მოძრაობის ნამდვილი სარჩული. ამას გეგულობდენ მხოლოდ ბრძოლის ველზე, უკანასკნელ მომენტში და ამასაც „ქორათ“. გარდა ამისა ბლანკისტები უყურადღებოთ ტოვებდენ მუშა ხალხის დღიურ გაჭირებას, ეჭვით უცქეროდენ რეფორმებს და ილტოდენ სიღარიბის ერთი დაკვირვით, უეცარი რევოლუციით მოსპობისაკენ. აი ამ ორი მიზეზით აიხსნება ის, რომ მათ პროლეტარიატში ფეხები არ ქონდათ გამდგარი და საჭირო ძალას ვერ წარმოადგენდენ.

ბლანკისტებზე უფრო მეტი ძალა ქონდათ მონტანიარებს. მათ ყავდათ თავის პრეფექტი, თავისი პოლიცია, მათ ხელში იყო ფოშტა, მანავანი სამინისტრო (დედრიუ როლენი), უფალავი კლუბები და გაზეთები. თითქმის ყველა შეიარაღებულიყო. როლენის და ფლოკონის მთავრობიდან გაგდება, როგორც ეს ზომიერთ სურდათ, აუცილებლათ მონტანიართა არეულობას გამოიწვევდა და ამიტომ იმათაც ლუი-ბლანივით, ეთმენდენ.

ოპოზიციის ამ სამივე ფრაქციას გახსაკუთრებით აშინებდა ერთი გარემოება—საერო კრება, არავინ იცოდა ის რანაირი იქნებოდა. შეიძლება პროვინციაში ისეთი წარმომადგენელი აირჩიოს, რომ არა თუ შრომის ორგანიზაცია, არამედ თვით რესპუბლიკაც გააუქმონ და ისევე ლუი-ფილიპზე დააბრუნონ. ოპოზიცია ამბობდა: საზრანგეთი არ არის რესპუბლიკანელი, საჭიროა ჯერ მისი გარესრესპუბლიკანება, პარიზის აზრების პროვინციაში გავრცელება. გლეხობის პროლეტარიატთან დაკავშირება და მერე საერო კრების მოწყევა. ამ ნიადაგზე შეერთდენ ლუქსენბურგელები, მონტანიერები, ბლანკისტები და 15 მარტს გამოსცეს შემდეგი პროკლამაცია:

\*) იხ. „მოგზაური“ № 20, მისი 1905 წ.

ჩვენ ვთხოულობთ საერო კრების და საერო მილიციის

ოფიცრების არჩევნების გადადებას. ეს არჩევნები კი არა არჩევნების დატენვა იქნება. პარიჟში აპრელითა სიაში მუშათა პარტია რიცხვია შეიანილი, ასე რომ კუთები მხოლოდ ბურჟუაზიის კენჭების მიღებენ, სხვა ქალაქებში მუშათა კლასი, დიდი ხნის მტარვალობის და სიღატაკისაგან დაძაბუნებული, არჩევანში ვერაფრით მონაწილეობას ვერ მიიღებს და თუ მიიღებს—ეს იქნება პატრონთა წინამწოლოლობით, როგორც ბრმა ცხველი. სოფლებში მთელი გავლენა არისტოკრატების ხელშია. საწყალი გლეხები, უნის მდგომარეობამდის ჩამოკეცილებულნი, გადაიქცევიან მათივე გამყვლეფელთა და მტანჯველთა ამაღლების საფეხურათ.

საქიროა სინათლემ შეაშუქოს რესპუბლიკის მიყრუებულ კუთხეშიაც, საქიროა მუშებმა ტანჯვისაგან მოხრილი წელი გამართონ, თავი მაღლა აიღონ და საკუთარ ფეხზე დადგენ. თუ არჩევნები ახლა მოხდა, ის იქნება რეაქციონური“.

ამ მოწოდებამ ააბობოქრა პარიჟის როგორც პროლეტარიატი, ისე ბურჟუაზია. 16 მარტს მილიციის 3 კონსერვატიული ლეგიონის დათხოვის გამო თავი მოიყარა 30 ათასმა ბურჟუაზმა და გასწიეს საბჭოსაკენ ყვირილით: „ძირს როლენ, ძირს კომუნისტები!“ ამ ამბის გაგებისთანავე საბჭოს უბანში მცხოვრები სტუდენტობა, მუშები და მონტანიარები გამოეშურენ მთავრობის დასაცავათ და სანამ დემონსტრანტები მოახწევდნ საბჭოს კარები და მოედანი იმათ დაიჭირეს, დემონსტრანტებმა მიზანს ვერ ზილწიეს და შერცხვენილნი დაიფანტნ. იმავე დღეს ოპოზიციამ გადასწყვიტა, მეორე დღეს, ჩვიდმეტს დიდი დემონსტრაცია მოახდინოს და მთავრობას არჩევნები გადაადებოს. საღამოს, მთავრობა შეიყარა და საერო კრების არჩევნების გადადება, წინააღმდეგ 4 ხმისა (ბლანი, ალბერტი ფლოკანი, როლენი) უარყო.

17, დანიშნულ ალაგს შეიყარა 150 ათასი მუშა, დროშებით და პეტიციით, დამწყობილებული წვიდდნ საბჭოსაკენ და დაიჭირეს წითელი მისი არე-მარე. აი პროლეტარიატი ბატონი მთავრობის და მით პარიჟის და საფრანგეთის! ბლანკისტები დაფატურდნ, და შეუდგნ ამ საუკეთესო შემთხვევით სარგებლობას მთავრობის, გასაწმენდათ“. ხალხმა შეგზავნა მთავრობასთან 30 კაცისაგან შემდგართ დელეგაცია, სადაც სამივე ფრაქცია იყო წარმოდგენილი, მათ შორის ბლანკი, ბარბესი, სობრიე და სხვა. ერთმა ამათგანმა წაიკითხა პეტიცია, რომლითაც თხოულობდნ ჯარის პარიჟიდან შორს დაბანაკებას და არჩევნების გადადებას. შემდეგ ილაპარაკა ბლანკიმ ისეთი ბრძანებითი კილოთი, რომ მთავრობის თვითულ წევრს შიში დაუარა, მან მოითხოვა პეტიციის ასრულება და სოციალური რესპუბლიკის დაარსება. როლენი და ბლანი ამ პროლეტარიატის მრისხანე ტრობუნით შეშინებულნი უკან დაიხიენ და მთავრობის დატენა თვითონ შეუდგნ.

ორივემ პეტიციის წინააღმდეგ ილაპარაკა ე. ი. ილაპარაკეს წინააღმდეგ. იმისა, რასაც წინა დღეს მთავრობის სხდომაზე და გარეთ იცავდნ. მარა რადგანაც პეტიციის შესრულება მხოლოდ ძალით შეიძლებოდა, ძალას კი ბლოკის მოშლა და ბლანკისტების გაბატონება მოყვებოდა—ამიტომ მთავრობის დამცველ ფარ-ხალი თვითონ აიღეს. მათმა უარმა ჯერ გაანკვიფრა, მერე შეარყია დელეგაცია. ლუქსენბურგელუბი და მონტანიარები მიემხრნ თავიანთ შეფებს, ბლანკისტები დარჩნ შეურყვევნი; ახლა თვითონ დელეგაციაში მოხდა შელაპარაკება. მაშინ წამოდგა მჭევრმეტყველი ლამარტინი და თავისი „ლაპარაკი სიტყვებით“ გაიტაცა დელეგაციის უმრავლესობა; „გაუმარჯოს დროებითი მთავრობასო“—გაეხმაურა დელეგაცია და დაბრუნდა უკან ხალხისაკენ. გამოსვლის დროს ბლანკისტი ფლოკი ლუი-ბლანს მიუბრუნდა და ხმა

მაღლა შესძახა: „შენც, შენც მოლაღატე ხარ!“ ხალხიც დელეგაციასვით გაიყო და ლუი-ბლანს დიდი ოვაცია გაუმართა. ასე დასრულდა ეს დღე.

ამ სახით, დროებითი მთავრობამ ბლანის და როლანის საშვადებით გაიმარჯვა ოპოზიციასზე. „ბლოკი“ კიდე ერთხელ ამარცხებს პროლეტარიატს.

17 მარტის დემონსტრაციამ დიდათ ჩააფიქრა მთავრობის უმრავლესობა და უმცირესობა. პირველმა აშკარათ დაინახა თუ რა დიდი გავლენა აქვს მეორეს პარიჟის მუშებზე და რა სახიფათოა ეს მათთვის: უმცირესობამ დაინახა მასზე უფრო მოწინავე ტრიბუნი მხათ, აღრე თუ გვიან რევოლიუცია მოახდინოს და პროლეტარიატის მეთაურობა იტვირთოს. როლენი და ბლანი გადაემტერნ ბლანს და მის პარტიას. ყველა შეუდგა თავთავისი პოზიციის გამაგრებას. მარიმ დაბარა „საერო სახელოსნოს“ დირექტორი ემილ ტომასი და გამოუცხადა: ფულს ნუ დაზოგავ, მუშები კარგათ დაიმორჩილე. შეიძლება შორს არ არის ის დღე, როცა დაგპირდება მათი ქუჩაზე გამოყვანა“. ტომასმა გამართა სახელოსნოთა კლუბი, სადაც მუშების ბრიგადირები მოდიოდნ, ამისათვის „ჯილდოსაც“ აძლევდნ (ქრთამს) და თან ბურჟუაზიულ „რენეზიბით“ უმასპინძლებოდნ. ეს იყო ტომარას სიტყვით, „ტრაპეზი ამართული ლუქსენბურგის წინააღმდეგ“. მან შემოიღო სახელოსნოში მილიტარული დისციპლინა; მუშები გაყო როტებათ და დაუმორჩილა შეფებს. არც ერთ მის მუშას, ტომასის მოწმობით, 17-ს დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია. ისინი ამ დღეს პარიჟს გარეთ გაგზავნეს რაღაც საქმისათვის. პარიჟის მერმა მარასტმა მიიღო ზომები საბჭოს გასამარჯებლათ. ის ხშირათ იწვევდა მილიციის ოფიცრებს და მათ და თან, დრთხილათ, აჩვენდა იმ აზრს, რომ საქიროა მხათ ყოფნა, თვარა „საზოგადოება და საკუთრება განსაცდელშიაო“. მან საბჭოში დაბანაკვა ამომრავი მილიციის ორი ბათალიწონი. ესენი ისეთაც გაჯავრებულნი იყვენ მუშებზე, რომელთა კოპერატულმა საზოგადოებამ ფორმის დამხადება დაუგვიანა და ჩამოლტეტილი დადიოდნ. მარასტის აგენტები არწმუნებდნ ამ ბოისაკებს — ეგ სოციალიზმის ბრალია, მუშებმა თუ გაიმარჯვა ყველას დაგვარტულდებნო!

როლენიც შეუდგა თავისი მონტანიარების გაძლიერებას. მისი წინააღმდეგობით პოლიციის მიუმატეს 1500 ქვეითი და 300 ცხენოსანი დარაჯი, სულ მონტანიარები კოსლიერის მოყვარე წერისეს წინამძღოლობით. ამას გარდა დააწესეს „პარიჟის მცვენი“— ე. ი. ქუჩების და შენობების განსაკუთრებით დარაჯნი. ლამარტინმაც კი გამართა კლუბების მეთაურებთან მოლაპარაკება და კავშირის დაქერა. მან ბლანკიც კი ინახულა, რის შესახებ შემდეგ თქვა: ჩემი მისთან შეხვედრა—მეხის ასაცდელელის მებთან შეხვედრააო.

ამ საყოველთაო მზადებაში არ ეძინათ არც ბლანკისტებს. მათ გამართეს დიდი აგიტაცია კლუბებში, მოიძებნეს მონტანიართა ბევრი შეფები, მათ შორის თვით კოსლიერი და გადასწყვიტეს—აუცილებლათ საქიროა მთავრობის, ამ „ავგავას საჯინბოს“, გაწმენდაო. ამ აზრს ხელი შეუწყო აგრეთვე პროვინციის ამბებმა, აქ ყოველგან თავი წამოყო რეაქციონერებმა და მოსალოდნელი იყო არჩებნებზე ზომიერა გამარჯვება. აპრილის პირველ რიცხვებში ბლანკის მომხრე კლუბებმა შეადგინეს „რადიკალ-დემოკრატულ კლუბთა კომიტეტი“ და გამოსცეს ბლანკის შედგენილი პროკლიმაცია:

„რესპუბლიკას, ისე როგორც მონარქიას, შეუძლია თავის დროშის ქვეშ ყმური განწყობილება მოათავსოს. სპარტა, რომი, ვენეცია იყო გათახსირებული ოლიგარხია, სიტყვები: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა შეიძლება გადაიქცეს

ისეთივე სიკრუტე, როგორც იყო ხარტიას დადგენილება: ყველა ფრანგი კანონის წინაშე თანასწორია. თავისუფლება არ არის იმითვის, ვისაც საქმელი აკლია: არ არის თანასწორობა, როცა ფუფუნება სიღატაკის გვერდით მყარდება; არ არის ძმობა, როცა დამწუვრილი დედაკაცი თავისი შვილებით შეძლებულთ კარდაკარ მთხოვრობას; არ გვიანდა ცარიელი სიტყვები, არ კმარა სიტყვების გამოცვლა, საქირთა თვით საქმის ძირიანათ შეცვლა“.

საერო მილიციის აფიცრების არჩევანი განგებ დანიშნეს საქმის დღეს, 5 აპრილს. მრავალი მუშა ვერ გამოცხადდა და ბურჟუაზიამ თავისი კანდიდატები გაიყვანა, საერო მილიცია (200 ათასამდე) ხელში ჩაიგდო პროლეტარიატის მტერებმა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო აძლევდა მუშები. ახლა ლუი-ბლანიც მომხრე იყო ერთი დიდი დემონსტრაციის თავის შერყეულ მდგომარეობის გასამაგრებლათ.

და აი ხელ-ახლა შეერთდა ოპოზიციის სამივე ფრაქცია ხელ-ახალი დემონსტრაციით 17 მარტის ჯავრის ამოსაყრელათ. დემონსტრაციის დღე დანიშნა 16 აპრილი. კლუბები შეუდგენენ ენერგიულ მუშაობას, კლუბთა კლუბმა გამოაცხადა შეუწყვეტელი სხდომა. პრეფექტურა იარაღს ისხამს, ლუქსენბურგის დელეგატები მუშებს ამზადებენ—ყოველგან დიდი აღელვებაა. ბლანკისტებმა შეადგინეს მომავალი მთავრობის სია: ლუი-ბლანი, როლენი, ალბერტი, ფლოკონი, ბლანკი, კამე და სხვ.

ამათ პროგრამაც შეიმუშავეს: ერთი მილიარდი გადასახადი მდიდრებს, ემიგრანტებისაგან უკან დაბრუნება მიცემული მილიარდის, ლუი-ფლოპის ქონების ჩამორთმევა, სახელმწიფო ვალების უარის ყოფა, ყველა მოხელეების დაცვლა, მთელი მართვა გამგეობის გადასხვაფერება, ფაბრიკა-ზავოდების შეყიდვა და მუშათა ასოციაციებისათვის გადაცემა, საერო კრების არჩევნების გადადება და სხ. და სხ. 16 ს ეს სია და პროგრამა ბლანკის მეგობარმა ფლოკმა მოუტანა როლენს გასაცნობათ; როლენმა როგორც კი სია წაიკითხა შეყვირა: ბლანკი? მასთან ერთად არასოდეს! „კარგი მიუგო ფლოკმა, თუ ჩვენთან არ იქნებით, სხვებთან ერთად თქვენც ფანჯრიდან იქნებით გადასროლილი“. ნაშუალამყეს კოსილიერმა გაგზავნა როლენთან თავისი კაცი რობრე: ყველაფერი მზათაა, საქირთა შეფი, მიიღე არეულობის შეფობაო. მარა მას ბლანკის აწრდილი არ ასვენებდა და გადაჭრილი პასუხი ვერ მისცა. მის ხელში იყო პოლიცია და საერო მილიციის მოწვევის უფლება, რასაც ასეთი დიდი მნიშვიელობა ქონდა. მეორე მხრით, მთავრობის უმრავლესობა, დარჩენილი უპოლიციოთ, უმილიციოთ, აღდევებული პროლეტარიატის ამართ მიტოვებული, იმედ მოკვეთილი იყო. თავისი გადადება მას საექვეთ აღარ მიაჩნდა. ლამარტინმა თავის კერძო საქმე მიაწყ-მოაწყა, ცოლშვილი მეგობრებს ჩააბარა, ანდერძი დასწერა და სასიკვდილოთ გაემზადა. მარტო მარი და მარატი ფონიხობდენ, საბჭოს ამაგრებდენ. „საერო სახელოსნოს“ მუშებს იმ დღეს სახელოსნოდან არ უშვებდენ. სტუდენტობა მოიხზრეს, მგარამ ეს იყო წყალწალბეულის ზავსზე ხელის მოკიდება.

გათენდა 16 აპრილი, კვირა. დილიდანვე ქუჩები გაცოცხლდა, ხალხით გაივსო, მუშები დაიძრენ მარსის მოედნისაკენ, საიდანაც ორ საათზე საბჭოსაკენ უნდა წასულიყვენ. 11 საათზე მოედანი აივსო ხალხის მრავალი ბაირადებით და ზედ წარწერით: შრომის ორგანიზაცია, გაუქმება აღამიანის აღამიანი-საგან გაყვლფის და სხ. ყველაზე მეტია ლუქსემბურგის მუშები, ძრიელ ცოტაა „საერო სახელოსნოდან“. ბლანკისტები ხალხს აღლვებენ მთავრობის წინააღმდეგ „ძირს მთავ-

რობა“, ის ბურჟუაზიის მონაა—გაისმის ხალხში. კოსილიერი კაცს უგზავნის როლენს, ნუ ყოყმანობ, წადი მარსის მოედანზე და იტივრთე ხელმძღვანელობაო. როლენი მაინც ყოყმანშია, ჩადგეს მოძრაობის სათავეში, ეს ბლანკისტების მოზხრობაა, უარყოს მოძრაობა,—ეს ბურჟუაზიის მოზხრობაა. პირველია რესპუბლიკა სოციალისტური, მეორე ზომიერი, თვითონ კი რადიკალურის მებზირალტრეა. ამ ფიქრებით გატაცებული ის ღვება და მიდის... მიდის გაჩქარებული, გავივლის რამდენიმე ქუჩას, აღის ერთი დიდი შენობის კიბეზე და უცებ შედის ლამარტინის კაბინეტში ამ სიტყვებით, „დავიღუპეთ, ასი ათასი კაცი მოდის საბჭოს რასაქერათ, ლუქსემბურგის კორპორაციები მეთაურობენ, ბლანკი მარსის მოედანზე მათ აღლვებს და ხელმძღვანელობს, აჯანყებულნი ჩემი სახელით მოქმედობენ, მე უარს ვყოფ მათ; აი მოვედით თქვენთან ერთად მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ; მირჩევნია თქვენთან სიკვდილი ვინემ მათი საზარელი ტირანის ატანა“. ლამარტინი გაკვირებული, გახარებული გადაეხვევა როლენს, შენ იხსენი საზოგადოებოაო. მან მაშინვე აფრინა შიკრიკები მთავრობის დანარჩენ წევრებთან ამ ამბის სახარებლათ, ხოლო როლენს, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს ურჩია თავისი უფლებების მოხმარა და საერო მილიციის გამოწვევა, საბჭოს არე-მარეს ორ საათამდის შეეკრა და მანიფესტანტების მთავრობამდის არ მიშვება. თორმეტი საათის ნახევარზე პარიეის ყველა უზანში დაკრეს ბარაბანი, ეს მილიციის მოსაწვევი სიგნალი. ამ ხმაზე შეიძრა მთელი ქალაქი-მხედრები, ღენერლები, აფიცრები, სტუდენტები, მილიციონერები ყველა მთავრობის დასახმარებლათ გამოეჩქარენ კომუნისტების წინააღმდეგ. ლუი-ბლანი ბარაბანის ხმით გაკვირებული საბჭოში როლენს ეკითხება: რა ამპაია ეს ვინ გამოიწვია მილიცია? „ბლანკს სურს მანიფესტაცია თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, მე არ მსურს რესპუბლიკა და საზრუნავით ბლანკს ხელში ჩაუვლო“—მიუგო როლენმა. პირველათ გამოჩნდა მილიციის მეცხრე ლეგიონი, შემდეგ პოლიტენიკუმის, სენ-აირის, უნივერსიტეტის და სხ. სასწავლებლების სტუდენტობა, მათ მოყვა მოძრაი მილიციის ოთხი ბათალიონი და ბოლოს მილიციის მრავალი ლეგიონები, ღენერალ კურტეს წინამძღოლობით, რომელთა შორის იყო მე-12 ლეგიონი ბარბესის მეთაურობით! ბარბესის დანახვაზე ლამარტინმა შესძახა; „რა მშვენიერებაა, აი უოოოთ გამარჯვება!“ რადიკალი და ერთხელ ბლანკის ამხანაგი ბარბესიც მიემხრო მთავრობას!

და როცა პროლეტარიატის მოწინააღმდეგენი ასე ერთდებოდენ და ერთსულობით მოქმედებდენ, აი რა ხდებოდა მარსის მოედანზე: როლენის ღალატმა მოშალა კლუბები, მანტანირები გაიყვენ, კოსილიერი და მისი ხალხი ქუჩაზე არ გამოსულა; ლუქსემბურგის მუშები, რომელთა უმრავლესობამ არც კი იცოდა ბლანკისტების შეთქმულება კვირობდენ, მთავრობა რატომ გვებრძვის, როცა ჩვენ სწორეთ მის გასამხნეებელათ გამოვედითო. ესენიც ნაწილდებიან. მოწინავენი ოჩებიან, სხვები კი იფანტებიან; „საერო სახელოსნოს“ მუშათა დიდი უმრავლესობა წავა ქირის მისაღებათ, რაც განგებ ორ საათზე დანიშნეს. ბლანკის კლუბი და მისი მოკავშირენი რჩებიან თავის ალაგას და საბჭოსკენ წასასვლელათ ხალხს ამზადებენ. ასე რომ ასი ათასი კაციდან ორ საათზე ძლივს 40 ათასი კაცი რჩება, რომელსაც მილიციამ გზა გადუღობა და საბჭომდის ვერც კი მიატანა. მთავრობა ისე გავაღნიერდა, რომ მუშების დელეგაციაც არ მიიღო, მიუხედავთ ლუი-ბლანის თხოვნისა. მუშების დანახვაზე მილიცია ყვიროდა: ძირს კომუნისტები, ძირს ბლანკი, ძირს კაბე!

ოპოზიცია ერთიანად დამარცხდა, მთავრობამ გაიმარჯვა. ლეი ბლანს და ალბერტს ურჩიეს მთავრობიდან გამოსვლა და მით არეულობის გამოწვევა, მარა უარი თქვეს. მეორე მხრით, უმრავლესობას ურჩიეს—ოპოზიციის მთავრობიდან გამოვლენა, რაზედაც მანაც უარი თქვა. კლასთა თანამშრომლობის მთავრობა ერთად დარჩა და მით კლასთა ბატონობის მთავრობა გამაგრდა.

სალამოს რეპუბლიკურებმა გამარჯვების ნიშნით თავისი უბნები გააჩირაღდეს. ბურჟუაზია მილიციის ტანისამოსში ქუჩაზე დარბოდა და ყვიროდა: სიკვდილი კომუნისტებს! ბლუზიან ხალხს ქუჩაზე აღარ აყენებდენ, ბევრ მათგანს იკერდნენ და პოლიციაში აგზავნიდნენ, სადაც მონტარიანები ათავისუფლებდნენ. კაბეს სახლი პოლიციამ გადაარჩინა მათ აკლებსაგან. ბლანკის კლუბი მიღწეწ-მოღწეწს, დაიქირეს ფლოკი და სხ. ერთი სიტყვით ბურჟუაზია განრისხდა, გამძინვარდა და დაიწყო აშკარა რეაქცია.

მეორე დღეს ბურჟუაზიის ასეთი რეაქცია აღარც მთავრობას მიეწონა და არც წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს. ესენი ებრძვიან ორივე უკიდურეს პარტიებს—რეაქციონერთა და სოციალისტების და ლამაზენ „ქემპარტი“ რესპუბლიკის დაარსებას. კოსიდორმა მთავრობას ბლანკის დაქვრის ბრძანება გამოსთხოვა (წინააღმდეგ ლამარტინის და ალბერტისა), მარა სისრულეში ვერ მოიყვანა.

19-ს მთავრობამ მუშების მოსამხრობათ პური, ხორცი და სხვა სურსათი გააიფთა საქალაქო ბაყების გაუქმებით. სამაგიეროთ დააწერა ზედ-მეტე გადასახადი მდიდრულ ეტლებზე, სახლების პატრონებზე და სხვა, რამაც ალტაცებაში მოიყვანა ლეი-ბლანი და როლენი. მილიციის რეაქციონურ ლეგიონებს მთავრობამ იარაღი ჩამოართვა. კლუბების არსებობა დააკანონა და ბევრა რეაქციონური მოხელენი დაითხოვა—ერთი სიტყვით შეეცადა რეაქციის შეჩერებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრებას. ეს გვიან შეიქნა; რეაქციამ წამოიყვანა თავი და მისი დამარცხება მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო, მარა პროლეტარიატის რეაქციაზე გამარჯვება—იქნებოდა გამარჯვება საზოგადოთ ბურჟუაზიაზე. პროლეტარიატისათვის რესპუბლიკა ნაშნავდა „შრომის ორგანიზაციას“, კაპიტალის ბატონობის გაუქმებას; ყველა ეს წვრილ ბურჟუაზიის დენიდა სხვილი ბურჟუაზიის კალთებში და პროლეტარიატს სამუდამოთ აშორებდა. საზოგადოება იყოფოდა არა „ხალხი“ და „ბურჟუაზია“, არამედ პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ხალხი, ივლისის მონარქიის დროს ერთ კლასათ წარმოადგენილი, ახლა დანაწილდა და თავისი ნამდვილი ვინაობა გვიჩვენა. მისი ერთი ნაწილი—წვრილი ბურჟუაზია — პროლეტარიატს და სხვილ ბურჟუაზიის შორის მომწვედელი აქეთ-იქით ეხეთქება. ხან ერთს უერთდება, ხან მეორეს; ხან ერთის ემინია, ხან მეორის და ბოლოს სამტყობოთ რეაქციონერთა წინ იჩოქებს. ესენი ემზადებიან საერო კრების სავალდებოთ „თავხედი“ პროლეტარიატის ქედის მოსახრელათ და მისი შრომის წინანდელ ძღვერმარებაში ჩასაბრუნებლათ. მარა რადგანაც რესპუბლიკის ერთგული დარაჯი პროლეტარიატი, ცხადია მის დამარცხებას რესპუბლიკის დამარცხება უნდა მოყოლოდა. პროლეტარიატის რესპუბლიკიდან გაგდება ნიშნავს რესპუბლიკის საფრანგეთიდან გაგდებას.

და ია ამის ასრულებას შეუდგა რეაქცია.

(შემდეგი იქნება).

აწ.

**დედაბავი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.**

(კლარა ტუტეისაი).  
თარგმანი რუსულიდან.

**II.**  
(შემდეგი\*).

მხოლოდ მანამდის შეიძლება ქალი არ ყოფილიყო გაქორციელებული საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, არც თვით ქალის, არც საზოგადოების საზარალოთ, სანამ განუვითარებელი სოციალური პირობები ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული, სანამ ადამიანთა ცხოვრება ვიწრო ინტერესების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

არა თუ ქალის, არამედ კაცის ინტერესებიც მეტათ ვიწრო ფარგლებში იყო მაშინ მოქცეული, მაგრამ ამ ფარგლებში ქალის როლი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც კაცის. ზოგიერთ კითხვების გადაწყვეტაში, რომელნიც შეეხებოდნენ ოჯახის არსებობას, ხან და ხან თემსაც, ქალი ხმის უფლებებითაც კი სარგებლობდა.

ზაწაწინა ოჯახისა და ადგილობრივი ბაზრის პირობებს, „თვისი მჩველის“ პოლიტიკაც ეთანხმებოდა.

წარმოების პირობების ვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და იცვლებოდა საზოგადოების ოჯახური დამოკიდებულება, რომელიც, საცვლათ ადგილობრივ, ვიწროთ შემოფარგულულ დამოკიდებულებისა, გაფართოვდა და მიიღო ეროვნული და საერთაშორისო ხასიათი.

საზოგადოებრივი ცხოვრებაც სწორეთ ამ ნაირსავე ეკოლოგიის განიცდიდა. ნაციონალიზმმა პარტიკულიარიზმის ადგილი დაიკავა, რომ თავის მხრივ პირველობა კოსმოპოლიტიზმისთვის დაეთმო.

იმ დღიდან, რაც საქონლის წარმოება ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კი არა, არამედ მსოფლიო ბაზრისთვის დაიწყეს, ხალხი დანიტერესდა ყველა იმ საზოგადოებრივი პირობებით და დამოკიდებულებით, რომელთაც მსოფლიო ბაზარზე რაიმე გავლენა აქვთ. კაცმა მოიწადინა, რომ ეს პირობები, შეძლების და გვართა, შეთანხმებოდა თავის ინტერესებისთვის და კიდევ მიაღწია მიზანს, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც კლასობრივი უთანხმოება და კონკურენცია უმალეს წერტილადის არის მისული.

ბურჟუაზიამ, რევოლუციის შემწეობით და პოლიტიკური ბატონობის ხელში ჩაგდებათ, საწარმოვო და საბაზრო პირობები თავის სასარგებლოთ მოაწყო.

მართალია პროფეტურაბო პოლიტიკურათ, თავისუფალ კლასათ არის გამოცხადებული, მაგრამ ეკონომიური დამოკიდებულება ხელს უშლის მას საზოგადოებრივი პირობები თავის ინტერესებს შეუთანხმოს. ასეა თუ ისე, პროლეტარიატი, როგორც პოლიტიკურათ თავისუფალი კლასი, წინააღმდეგ ბურჟუაზიის ინტერესებისა და სურვილისა, დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებს. ბურჟუაზია უკმაყოფილოთ უტყვერის მუშების გონივრულ მოქმედებას, გული ტოვებ და შფოთავს, როდესაც ხელდას რომ მუშა ძალიან გონივრულათ ეხება იმ პოლიტიკას, რომელსაც კარგი ან ცუდი გავლენა აქვს მის ცხოვრებაზე, როდესაც ის თხოულობს, რომ მუშის სიტყვაც იყოს მხედველობაში მიღებული იქ, სადაც მისი ბედ-იღბალი წყდება.

ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიამ შესაფერი ღონისძიება იხმარა, რომ ქემპარტი და მეღვარი სიტყვა პროლეტ-

\* იხილეთ № 20 მოგზ.

ტარიატისა არ გაგონილიყო. ყველა, ეგრეთ წოდებული, გამანათლებელი დაწესებულებანი ჩინებულ იარაღათ გამოდგენ კლასობრივ სახელმწიფოს ხელში პროლეტარიატის თვალების ასახვევათ. რაც შეეხება პროლეტარიატის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს ხომ სრულებით არ შეესაბამება იმ დიდ როლს, რომელსაც ის ეკონომიურ ცხოვრებაში ასრულებს; ეს მონაწილეობა გამოიხატება შემდეგ მოვალეობაში: „მუშავ, მოვალე ხარ იხადო ყოველგვარი გადასახადები, ხოლო ხმის ამოდების უფლება კი არა გაქვს“...

ასეა თუ ისე, პრინციპილურათ მამაკაცის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილია.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური პირობები, რამოდენიმეთ მიხედვით, ეკონომიური პირობების გავლენით განვითარდნენ.

სულ სხვა ნაირათ არის დედ-კაცის საქმე. ქალის ეკონომიური მნიშვნელობა გასაოცრათ ეწინააღმდეგება მის საზოგადოებრივ მდგომარეობას, განსაკუთრებით კი მის პოლიტიკურ უფლებებს. ის მოკლებულია იმ უმნიშვნელო უფლებებსაც-კი, რომლითაც სარგებლობენ მუშა-კაცები.

პოლიტიკური და იურიდიული მხრით, თანამედროვე საზოგადოებაში ქალები მცხუთე კლასს წარმოადგენენ.

მართალია ქალის ეკონომიური მოქმედება ახალ წარმოების პირობებს შეუთანხმდა და თან და თან გაფართოვდა, მაგრამ მისი სოციალური უფლებები იმავე მდგომარეობაში დარჩენ, როგორც წინეთ, სოჯახო და წვრალ მრეწველობის დროს იყო.

იმ დღიდან, რაც სხვილმა წარმოებამ წვრილი მრეწველობა გააძევა, ქალისთვის შეუძლებელი გახდა, საკუთარი საშუალებით, ყოველივე საქარო ნივთის დამზადება; მაშინ მისი ინტერესები ოჯახს მოშორდა და საზოგადოებაში გადავიდა.

რადგანაც ახალი წარმოების გავლენით კაცის მოქმედება გასხვავდება, ქალის შინაური და გარეე დამოკიდებულებაც შეიცვალა.

ოჯახი და მისი ცხოვრების პირობები უკვე აღარ იყო დამოკიდებული ოჯახის უფროსის ნებაზე. ოჯახის ცხოვრება შეიქნა დამოკიდებული როგორც ბაზრის პირობებისგან, ისე სოციალური პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისგან.

ხელ-ფასის მომატება, საშუალო დღის სიგრძე, შრომის ფორმა, დასვენების დროს რაოდენობა, უკვე დღეების განსაზღვრა, ერთის სიტყვით ყველა პირობები, რომელთაც რაიმე გავლენა აქვთ ოჯახის ცხოვრებაზე, უკვე დამოკიდებული იყო კაპიტალიზტის ნებაზე, წარმოების პირობებზე, სავაჭრო ბაზარზე და არა ოჯახის უფროსის, ქმრის სურვილზე.

ფასი იმ საგნებისა, რომელნიც ოჯახის აუცილებელ საქირიობებს წარმოადგენდნენ, შეიქნა დამოკიდებული მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებისგან. კონკურენციამ სახალმწიფო და სატამიერო ომები გამოიწვია, რამაც თან და თან გააძვირა ის საგნები, რომელნიც სახლისთვის აუცილებელ საქირიობებს შეადგენდნენ. ახალი გაუმჯობესობანი მრეწველობაში ავლდებდა გარეთ, ქუჩაში დღეს მამას, ხელ ქმარს. გარეე ომები პოლიტიკური, სამრეწველო ანუ სავაჭრო ბატონობის მოსპობებლათ. შინაური ომები სახელმწიფოს წესწყობილების შესაცვლელათ უღმობელათ იტაცებს ოჯახიდან მამას, შვილს, ძმას, სოცოხლეს უსპობენ ოჯახის მარჩენელს,

ან და აბრუნებენ უკან დასახირებულთ, სრულებით უფარვის ცხოვრებისთვის. შრომით აღებული ფულის უმთავრესი ნაწილი იხარჯება პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადებზე. ყველა ეს ძირს უთხრის, ანგრევს ოჯახს, აცალკევებს მის წევრებს და ავლდებს მათ საშინელ სიღარიბეში.

(შემდეგი იქნება).

**წერილი რედაქციის მიმართ.**

**ბატონო რედაქტორო!**

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

ჩემი კორესპონდენცია, „მოგზაურის“-ს მე-17 ნომერში მოთავსებული და გაზ. „ფილისის ფურცელში“ გადაბეჭდილი, წაუეთხახეს თ-ად ჩოლოყაშვილს, რის გამოც მას „თბილისის ფურცლის“ მე-97 ნომერში დაუბეჭდია წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ვითომც 27 აპრილს სოფელ ქვემო-მანხანაში ქიზიყის წარმომადგენელთა კრება მომხდარიყოს მისი, ე. ი. თ-ად ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით და მომრიგებელ შუამავლის თანადამსწრებით. თავადი გაზეთებმა თხოვეს მისი წერილის გადაბეჭდვას, რათა ამით დაინახოს საზოგადოებას, თუ როგორი ნდობით ევება მას ქიზიყის ხალხი. ამანე აი რა უნდა მოვასხენო თ-ად ჩოლოყაშვილს:

1) 27 აპრილს, როდესაც ხალხი შეიკრიბა სოფ. ქვემო-მანხანასი კანკელარიაში, ამდროს თ-ად ჩოლოყაშვილმა წააკითხა ერთს დამსწრეს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი წერილი თბილისში 3 აპრილს მომხდარ თავად-აზნაურთა კრების მნიშვნელობის შესახებ. ამანე ხალხის ამორჩეულმა პირებმა განუთხადეს: ჩვენ თავად-აზნაურების კრება არ შეგვებება და მაშასადამე მაგის კითხვა მეტიაო! 2) როდესაც კრება უნდა დაწყებულიყო, წარმომადგენლებში აღიშრა კითხვა: შეიძლება თუ არა კრებას დაესწრენ მომრიგებელ-შუამავალი და თ-ად ჩოლოყაშვილიო? ამანე სამმა მამასახლისმა დაიძახა შეიძლებაო. მიუხედავათ იმისა, რომ ეს მამასახლისებიც სოფლებს წარმოადგენენ ამორჩეულ პირებათ, ხალხმა მაინც ერთ ხმათ უარ ჰყო კრებაში დასწრება როგორც მომრიგებელ შუამავლის და თ-ად ჩოლოყაშვილისა, ისე ამ მამასახლისებისაც, რომლებიც მომრიგებელ შუამავლის და ჩოლოყაშვილის დასწრების მომხრეები იყვენ, და ყველა კანკელარიიდან დაითხოვეს.

საკორეული აქ ერთი ვარემოებაა: ნუ თუ კიდევ ვერ მიხვდით, თავადო, რომ დღეს არაფრის დაფარვა აღარ შეიძლება? რა საქარო იყო რომ გაზეთების საშუალებითა ცდილობთ დამტკიცოთ, ვითომც ქიზიყის ხალხი დიდის ნდობითა და პატივით გვებებათ, იმ დროს, როდესაც თვით ხალხის გული უკეთესი დამამტკიცებელია, ვინც გაზეთის ფურცლები!

**დროებით ქიზიყელი.**

**ბატონო რედაქტორო!** გთხოვთ დაუთმოთ ალაგი თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს.

„ცნობის ფურცლის“ № 2528-ში ამოვიკითხე წერილი თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის ქართულ მასწავლებლებისა „მოგზაურის“ რედაქციის მიმართ. რადგანაც მე, როგორც ეს უკვე ამხანაგების კრებას თავიდანვე მოვასხენე—წინააღმდეგი ვიყავე ამგვარი დიდგნობებისა. ამისთვის საჯაროთ ვაცხადებ, რომ დასახილვებულ წერილს „ცნობის“ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

დავშთები პატივის ცემით სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი **ნიკო ახმეტელაშვილი.**

29 მაისი სოფ. ანავა, სიღნაღის მაზრა.

რუს-კამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**